

# გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 7 იანვარი, 2010 წელი.

№ 3 (6369)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## თბილისი, ბათუმი... გაფეიერვერკებული საქართველო და უკმაყოფილოთა ახალი წელი

4



## ვინ ჩაატარებს საქართველოში არჩევნებს: გაერო თუ ხელისუფლება?

3




## „სამართალი“, უთუოდ ველურებსაც რომ გაუკვირდებოდათ!

2

## მოსახლეობის გადაადგილებას ქართული მხარეც უშლის ხელს

2

## ვითომ შეცდომები 2009 წელში დარჩა?

3






## მოსკოვის წისქვილზე წყლის მიშვება

8

## როცა სამინისტროს მესვეურებს მეცხვარეობაზე წარმოდგენაც არა აქვთ!

5



## ◎ კონფლიქტის ზონა

# მოსახლეობის გადაადგილებას



# ქართული მხარეც უშლის ხელს

**გალის რაიონის მოსახლეობისთვის გადაადგილება დღითი დღე რთულდება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ზუგდიდის რაიონში მოხვედრა მხოლოდ გამართლებაზეა დამოკიდებული. ოკუპანტების აკრძალვის მიუხედავად, გალის რაიონიდან ზუგდიდში ჯერჯერობით ყოველდღიურად გადაადგილდება რამდენიმე მიკროავტობუსი, რომელსაც რაიონში სხვადასხვა სოფლის მოსახლეობა გადაჰყავს: საბედნიეროდ, რუსი „მესაზღვრეები" საზღვარზე მუდმივად არ იმყოფებიან, რაც მოსახლეობას ზუგდიდის რაიონში „გადმოპარვის" შესაძლებლობას აძლევს.**

თუმცა სანამ საქმე მესაზღვრეებამდე მივიდოდეს, მიკროავტობუსის მგზავრებმა ე.წ. საზღვრის გადაკვეთისთვის თანხა აფხაზი სეპარატისტების შტაბში უნდა გადაიხადონ. უშუალოდ გალიდან მომავალ მგზავრებს — 100 რუსული რუბლის, დაბალი ზონის რამდენიმე სოფლის მოსახლეობას კი 60 რუბლის გადახდა უწევს. ამასთან, ეს გადასახადი სეპარატისტებს ოკუპანტებთან შეუთანხმებლად აქვთ დაწესებული, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ასე აცხადებენ და აფრთხილებენ კიდეც მგზავრებს, რუს „მესაზღვრეებს" „არაფერი უთხრან". შესაბამისად, მათ, ვინც „მესაზღვრეებამდე" მიაღწევს, სეპარატისტებისთვის გადახდილი თანხა ხშირ შემთხვევაში უბრალოდ „ეკარგებათ" და სახლებში დაბრუნება მაინც უწევთ. საბოლოოდ ე.წ. საზღვარს მხოლოდ ის მგზავრები კვეთენ, რომლებსაც უმართლებთ და „მესაზღვრეები" ადგილზე არ ხვდებიან. ეს „იღბლიანები" სხვა საფრთხეების მოლოდინში აგრძელებენ გზას.

საფრთხეს კი მგზავრობის ამ ეტაპზე უკვე ადგილობრივი ქართული ბანდფორმირებები წარმოადგენენ, რომლებიც ისე გათამამდნენ, მოსახლეობას უნიღბოდაც აყაჩაღებენ. ოფიციალური ინფორმაციით, ამ ბანდფორმირებების თითოეული წევრი ქართული მხარის მიერ იძებნება, რამდენიმე დააკავეს კიდეც, თუმცა პრობლემა ამით არ მოხსნილა და დღითი დღე მძაფრდება. მათ, ვინც ამ საფრთხეების მიუხედავად, ზუგდიდში გადასვლას ახერხებს, უკან დაბრუნებისას დაჭერის საფრთხე ემუქრებათ: მიკროავტობუსებით გალის რაიონში მიმავალი მგზავრები ე.წ. საზღვარზე დაკავების შემთხვევაში, გალის პოლიციაში ხვდებიან და მხოლოდ 300-300 რუბლის ოდენობის ჯარიმის გადახდის შემდეგ უბრუნდებიან სახლებს. აღსანიშნავია, რომ ქართულ მოსახლეობას ოკუპანტებისა და სეპარატისტების შემოწმების გარდა, კონტროლის გავლა ე.წ. ხურჩის საზღვარზეც უწევს, სადაც ქართველების საგუშაგოს მსგავსი პატარა ნაგებობაა განთავსებული. აქ საბუთების და ჩანთების შემოწმება მიმდინარეობს. თუ მგზავრს შეძენილი ნივთის ან პროდუქტის შესაბამისი ქვითარი არ გააჩნია, გალის ტერიტორიაზე ვერ შევა. ამასთან დაკავშირებით ქართული მოსახლეობა უკმაყოფილებას უკვე ქართული მხარის მიმართ გამოთქვამს. როგორც შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი აცხადებს, ხურჩის გადასასვლელს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები მას მერე აკონტროლებენ, რაც ზუგდიდში რკინიგზა ააფეთქეს, თუმცა საკვები პროდუქციის კონტროლის შესახებ იგი ინფორმაციას არ ფლობს. „ვიცი, რომ საბუთების შემოწმება ორივე მიმართულებით გადაადგილებისას ხდება, თუმცა საკვებ პროდუქტზე ქვითრების შემოწმების შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ, აუცილებლად გავარკვევ და შეგატყობინებთ", — განუცხადა „პირველს" უტიაშვილმა.

ამმხრივ განსაკუთრებით გამძაფრდა მოსახლეობის აგრესია მას შემდეგ, რაც ე.წ. „კოხიას ფონის" გახსნაზე დაიწყო საუბარი. სეპარატისტებისა და ოკუპანტების დაპირებით, მოსახლეობა აქ უპრობლემოდ გადავიდოდა, თუმცა როგორც გალის მოსახლეობა აცხადებს, ქართულმა მხარემ ამაზე უარი განაცხადა, ფონის მიმდებარე ტერიტორია გადათხარა და ორმოები შემოავლო. რაც შეეხება ადრე გახსნილ სამანქანო ფონს, რომლის გახსნას ქართული მხარე დათანხმდა, ის გამოუსადეგარი აღმოჩნდა, რადგან წყლის ადიდების შემთხვევაში მიკროავტობუსის გადასვლა შეუძლებელი ხდება. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, შემთხვევითი არაა, რომ აღნიშნული პრობლემის განხილვა არ გასცილებია ზუგდიდის სამხარეო პოლიციას, რომელსაც ხურჩის საზღვარზე მოძრავ კონტრაბანდულ საქონელზე მონოპოლიის დაკარგვა არ სურს. „პირველი" აღნიშნულთან დაკავშირებით შს სამინისტროსა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებსაც დაუკავშირდა, თუმცა ე.წ. „კოხიას ფონის" შესაძლო გახსნის და ამ საკითხზე მოლაპარაკებების შესახებ არც ერთი მათგანი ინფორმაციას არ ფლობს.

**„პირველი"**

## ◎ ინფორმაცია

### ჩიგოევის ბანდფორმირების წევრობას ადასტურებენ

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა, რომლებიც ცხინვალში გუშინ საღამოს ჩავიდნენ, „ქართველი სპეცსამსახურების მიერ გატაცებული გენადი ფლიევის გატაცების ადგილი დაათვალიერეს". კოკოითის ე.წ. ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილე მერაბ ჩიგოევის განცხადებით, ევროკავშირის მისიის წარმომადგენელთა ცხინვალში, შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად მიწვევა გამონაკლისი შემთხვევა იყო, ვინაიდან მათ უშუალოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მონიტორინგის ჩატარებას ოსი სეპარატისტები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.**

**სეპარატისტები აღნიშნულ ინფორმაციაში ირწმუნებიან, რომ ქართველმა სამართალდამცავებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფო" საზღვარი გადმოკვეთეს და სოფელ ნიქოზის მხრიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის სიღრმეში 400-500 მეტრის მანძილზე შევიდნენ, საიდანაც ფლიევი გაიტაცეს.**

**ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების გარდა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები გატაცებული ფლიევის ნათესავებს ესაუბრნენ. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ყოფნისას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს კოკოითის ე.წ. ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილე მერაბ ჩიგოევი ახლდა.**

**მერაბ ჩიგოევი ასევე პრაქტიკულად ადასტურებს საქართველოს შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ქართული მხარის მიერ დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე ოსი სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გადმოსული შეიარაღებული გენადი ფლიევი სწორედ ოსური უკანონო ბანდფორმირების წევრი იყო.**

**— გენადი ფლიევი, ისევე როგორც ბევრი ახალგაზრდა ადამიანი, სამხრეთ ოსეთში თავის სამშობლოს იცავდა. ის არ არის არც სამართალდამრღვევი, არც ტერორისტი და არც დამნაშავე, — აცხადებს ჩიგოევი და დასძენს, რომ გენადი ფლიევი ის სამხედრო მოსამსახურეა, რომელიც სამშობლოს ემსახურება.**

**შეგახსენებთ, რომ საქართველოს შს სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, გორის რაიონის სოფელ ნიქოზში დააკავეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით და ხელყუმბარებით შეიარაღებული, ოსური უკანონო ბანდფორმირების წევრი, 1975 წელს დაბადებული გენადი ფლიევი.**

### გაზსადენის ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს

**ინგუშეთის მალგობეკის რაიონში, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა, მაგისტრალურ გაზსადენ „მოზდოკი-თბილისის" ქვეშ ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს.**

**რუსული მედიის ინფორმაციით, ამჟამად შემთხვევის ადგილზე გამნაღმველები გაემგზავრნენ. ადგილის დათვალიერების შემდეგ იქ გამნაღმვითი სამუშაოები ჩატარდება.**

### ბულგარეთში ჟურნალისტი მოკლეს

**ბულგარეთის დედაქალაქ სოფიის ცენტრში პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლით ცნობილი ჟურნალისტი ბობი ცანკოვი მოკლეს. მისი თანმხლები ორი პირი სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობებით საავადმყოფოშია გადაყვანილი.**

**ჟურნალისტის მკვლელობასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეს პირადად აკონტროლებენ ქვეყნის ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი ცვეტან ცვეტანოვი და მთავარი პროკურორი ბორის ველჩევი.**

**ბობი ცანკოვი ცნობილი იყო თავისი სკანდალური პუბლიკაციებით ბულგარეთის დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერებზე, მათთან ინტერვიუები მან ქვეყნის რამდენიმე გაზეთში გამოაქვეყნა. მას ეკუთვნის წიგნი ნარკომაფიის ბოსებზე და ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ხელმძღვანელებზე.**

**ამჟამად იგი გამოსაცემად კიდევ ერთ ახალ წიგნს ამზადებდა. მის საცხოვრებელ სახლთან არაერთხელ ააფეთქეს თვითნაკეთი ბომბები.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◎ საგადასახადო კოდექსი

# მეწარმის ორკითხვიანი ამოცანა

### ანუ „სამართალი", უთუოდ ველურებსაც რომ გაუკვირდებოდათ!

**მეწარმეობა საქართველოში და საგადასახადო კოდექსის ვარიაციები მეტ-ნაკლები შესწორებებით — დარწმუნებული იყავით, რომ ეს, არც თუ სახალისო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამოუწურავი თემაა. მეწარმე-საგადასახადო ინსპექტორის დაუსრულებელ დაპირისპირებაში, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში ორივე მხარეა მოგებული: გადასახადების პირნათლად გადახდის შემთხვევაში საგადასახადო ინსპექტორიც, რომელიც ამ დროს სახელმწიფო ბიუჯეტს განასახიერებს, და „კეისრისას" იღებს, და მეწარმეც, რომელიც სახელმწიფოს წინაშე ფინანსური ვალის მოხდის შემდეგ კუთვნილ მოგებას საჭიროებისა და შეხედულებისამებრ იყენებს. ჩვენში კი ყველაფერი მეტად განსხვავებულად, ვიტყოდი ქართულ-სპეციფიკურადაა მოწყობილი.**

ცოტა ხნის წინათ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით თუ ვიმსჯელებთ, ამჟამად შექმნილი ვითარება საკმაოდ ლაკონურად შეიძლება დავახასიათოთ: კარგა ხანია გამოკვეთილია თანდათანობით ინერციის ამკრეფი ტენდენცია, **რომ აღმასრულებელი ხელისუფლება თავის უფლებამოსილებას ზრდის ზოგადად გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე.**

დამადასტურებელი მაგალითების მოსაძებნად შორი ექსკურსები საჭირო არ არის: გავიხსენოთ თუნდაც საშემოსავლო გადასახადის 20 პროცენტიდან 25 პროცენტამდე გაზრდა და ცოტა ხანში ამ ყველაფრის უკანვე „გადათამაშება". თუმცა ერთი კია: გარდა იმ დამატებით ხუთპროცენტიანი შემოსავლისა, რომელიც სახელმწიფო ხაზინამ ისევ უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის დაცარიელებული ჯიბეებიდან ამოსვრიტა, აქციას, ვფიქრობ, უფრო მეტად პიარული გათვლა ჰქონდა.

აქვე ბარემ იმასაც დავამატებთ, რომ მსგავსივე პიარული დატვირთვა ჰქონდა ხელისუფლების მიერ მცირეწლოვან დამნაშავედ ცნობის ასაკის ჯერ 14 წლიდან 12 წლამდე შემცირებას, შემდეგ კი, თითებზე ჩამოსათვლელ თვეებში, „ჰუმანურ აღმზრდელობითი" „კეთილი ნების ჟესტით" ამ ზღვრის 12 წლიდან ისევ 14-მდე „გადაწევას".

ახლა, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ბოლოს შეტანილი ცვლილების კიდევ „მარგალიტის", მისი, ასე ვთქვათ, „მშვენების" შესახებ.



მოგეხსენებათ, სამეწარმეო საქმიანობაში, გადასახადების სანქცია-საურავების ოდენობასთან, სამართლიანობა-უსამართლობასთან და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით, მეწარმესა და საგადასახადო უწყებას შორის ხშირად დავები წარმოიშვება ხოლმე, რომლებიც მესამე მხარის, ანუ სასამართლოს ჩარევას მოითხოვს, რაც სავსებით გასაგები ცივილიზებული გზაა და ამაში საკამათო არაფერია. საკამათო არც იქნებოდა, რომ არა ერთი, თითქოსდა შეფარულად გამოხატული გარემოება: საგადასახადო კოდექსში შეტანილი შესწორების მიხედვით, **თუკი მეწარმემ პირველი ინსტანციის სასამართლოში საგადასახადო უწყებასთან დავა წააგო, ამ უკანასკნელმა მას მისი კუთვნილი დაყადაღებული ქონება შეიძლება ისე გაუყიდოს, რომ... მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას არც დაელოდოს!**

თუ გსმენიათ, ბატონებო, თუნდაც ველურების ასეთი „სამართალი"? დააკვირდით: მეორე ინსტანციის სასამართლო ხომ პირველი საფეხურის სასამართლოზე უფრო მაღალია, რომელიც უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში და სამართლის მოთხოვნების შესაბამისად, უფრო დაბალი საფეხურის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმოს?! თუმცა „ჩვენებური სამართლით" — ნურას უკაცრავად: თუკი ქონებას გაუყიდიან, მეორე ინსტანციის სასამართლო პროცესი მეწარმემ რომც მოიგოს, მაინც ქუჩაში, უკაცრავად და შარვალგამოხეული დარჩება იმ მარტივი მიზეზით, რომ ქონება აღარ ექნება.

დასკვნის გამოტანას დიდი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება: გინდა, მეწარმევ, ქუჩაში არ აღმოჩნდე შენი ჯალაბით? ყურად იღე ის, რასაც საგადასახადო სამსახურის ინსპექტორ-ბატონი გეუბნება, თუ არა და...

თუ არა და თავად იჭყლიტე ტვინი, ჩემო საბრალო თანამემამულე-მეწარმევ!

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ „ვეფხვისებური“ ნახტომი?

# ვითომ შეცდომები 2009 წელში დარჩა?

**ახალი წლის დადგომასთან ერთად იწყება გასული წლის ამბების განხილვა. ყველა ცდილობს დაშვებული შეცდომების გაანალიზებას და რაც მთავარია, მომავალში მის გამოსწორებას.** გამონაკლისნი არც პოლიტიკოსები არიან. ხელისუფლებისა რა მოგახსენოთ, ოპოზიციას კი სხვა გზა არ აქვს და შეცდომებზე ფიქრთან ერთად მათ გამოსწორებას გამალებული ცდილობს. 2009 წელს ქუჩაში ათასჯერ გამოსული, ამდენივეჯერ დაშლილი და გაერთიანებული, შეშინებული თუ დაშინებული, გასატელიტებული ჩვენი ოპოზიცია, 2010 წელს ადგილობრივ არჩევნებში „ვეფხვისებური“ ნახტომისთვის ემზადება, თუმცა ჯერ ოპოზიციის თითოეული სუბიექტი შინაური კატასავით მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. აბა სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ არჩევნებამდე მცირე დრო რჩება და ოპოზიციას ჯერ კიდევ არ ჰყავს ქალაქის მერობის ერთიანი კანდიდატი, არადა, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ მხოლოდ ერთიანობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ხელისუფლების სავარაუდო კანდიდატის, ამჟამინდელი მერის გიგი უგულავას დამარცხება.



არჩევნების მოსაგებად, პრაიმერთან ერთად, გასულ წელს ოპოზიციას გაუჩნდა კიდევ ერთი იდეა — საქართველოში არჩევნები გაერომ ჩაატაროსო. ეს ინიციატივა ლეიბორისტულ პარტიას ეკუთვნის. დიდი ხნის შესვენების შემდეგ, მხოლოდ მათ შეძლეს ოპოზიციური პარტიების ერთად თავმოყრა, მაგრამ — უშედეგოდ. ამასთან, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ლეიბორისტული პარტია არც გაეროს ჩატარებულ არჩევნებში (თუ ეს მოხდაძ მიიღებს მონაწილეობას. მაშინ რა მიზანი ამოძრავებთ მას?

როგორც ჩანს, ლეიბორისტული პარტიის იდეას ყველა მისი კოლეგა იზიარებს, რადგან 2009 წლის 30 დეკემბერს, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, ნამდვილად უპრეცედენტო ოპოზიციური შეკრება შედგა (ისევ ლეიბორისტების ინიციატივითძ და ყველამ ერთსულოვნად მოაწერა ხელი გაეროსადმი გაგზავნილ მიმართვას, რომელშიც გამოთქმულია სურვილი-თხოვნა, რომ არჩევნები ჩვენს ქვეყანაში ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩაატაროს.

სანამ დოკუმენტის შინაარსზე ვილაპარაკებთ, აღვნიშნოთ, რომ დრო ოპოზიციის საწინააღმდეგოდ მუშაობს. ერთი მხრივ, კარგია, რომ რაღაც საკითხის ირგვლივ (რამდენად მართებულზე სხვა საქმეაძ მაინც მოახერხეს გაერთიანება, მეორე მხრივ კი, დიდი მიამიტობაა, გჯეროდეს იმის, რაც არასდროს არ მოხდება და ამაში კარგავდე ისედაც მცირე დროს. მით უმეტეს, თუ მომავალში, შენივე იდეის განხორციელებაში მონაწილეობას არ მიიღებ. არის კიდევ ერთი, მაგრამ... ვთქვათ და, ჩაატარა გაერომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და მასში ხელისუფლებამ გაიმარჯვა, რაც არ არის გამორიცხული, რადგან სანამ ოპოზიცია მოჯადოებულ წრეში მოძრაობს და წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდება, ხელისუფლება წარმატებით იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს და გიგი უგულავას არაოფიციალური საარჩევნო კამპანიაც გახურებულია; ეს კი მის რეიტინგზე არც თუ ისე ცუდად აისახება. თუ გავითვალისწინებთ დასავლეთის, მათ შორის გაეროს მხარდაჭერას (შესუსტებულს, თუმცა საგრძნობსძ დღევანდელი ხელისუფლებისადმი, ოპოზიციის ეს იმედიც იმედად დარჩება 2013 წლამდე მაინც და უკან დასახევი გზა ხომ აღარ ექნებათ და აღარ ექნებათ. ნიუ-იორკში, გაეროს შენობის წინ ხომ არ გამართავენ საკნებს? ჰო, მართლა... 2013 წელი გველის წელიწადია (მოდური აღმოსავლური კალენდრითძ, ეს ქვეწარმავალი კი სიბრძნის სიმბოლოა, ჰოდა, იმედია ამ დრომდე მაინც მოემატება სიბრძნე თუ არა, ცოტაოდენი ჭკუა მაინც, ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ორივე მხარეს.

მანამდე კი, ოპოზიციაში ისევ კონსულტაციები მიმდინარეობს ერთიან კანდიდატზე და სხვა საკითხებზეც. გაეროსადმი გაგზავნილ მიმართვაში ვკითხულობთ: „დღეს საქართველოში არ არსებობს თავისუფალი, დემოკრატიულ გარემოში არჩევნების ჩატარების სამართლებრივი და პოლიტიკური გარანტიები, რაც ახლო მომავალში სამოქალაქო დაპირისპირების, ქვეყნის შემდგომი რღვევისა და რეგიონში დესტაბილიზაციის რეალურ საფრთხეს ქმნის... არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში ხელისუფლების ცვლილება მხოლოდ სამოქალაქო დაპირისპირებისა და რევოლუციის შედეგად განხორციელდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრების რესურსი და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მშვიდობიანი კონსტიტუციური გზით შეცვლის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობს და ამ ამოცანის რეალიზებაში, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული როლი გაეროს გაეკუთვნება“.

გაერო კარგად იყოს, მთავარი ის არის, რომ როცა ჩვენ თვითონაც არ ვიცით რა გვინდა, არც შედეგებზე ვფიქრობთ და მხოლოდ წლის ბოლოს ვაანალიზებთ შეცდომებს, მაგრამ არც ახალ წელს ვსწავლობთ ჭკუას.

**ანა წიწილაშვილი**

◉ არჩევნები




# ოპოზიცია ცესკოს ახალ თავმჯდომარესაც არ ენდობა

## ვინ ჩაატარებს საქართველოში არჩევნებს: გაერო თუ ხელისუფლება?

**საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებულმა თითქმის ერთწლიანმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსენსუსი შედგა. „ალიანსი საქართველოსთვის“ ბოლოს მაინც უკმაყოფილო გამოეთიშა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ოფისში გამართულ მოლაპარაკებებს, მაგრამ ეს მხოლოდ მერის არჩევნებში 50-პროცენტიან ბარიერს შეეხებოდა, ყველა სხვა საკითხი მათი ინიცირებული თუ არა, მოწონებული მაინც იყო.**

შეცვლილი საარჩევნო კანონმდებლობა საქართველოს პარლამენტმა დეკემბრის ბოლოს დაამტკიცა და უკვე ძალაში შევიდა. ახალი სისტემის მიხედვით კი მთლიანად შეიცვალა ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი.

პრეზიდენტმა ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი გაათავისუფლა. 8 იანვრამდე პრეზიდენტი ვალდებულია თავმჯდომარეობის სამი კანდიდატი წარუდგინოს ცესკოს. თავის მხრივ, ეს კანდიდატები არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შედეგად შეირჩევა. რაც შეეხება თავმჯდომარის არჩევის წესს, პრეროგატივა ამ შემთხვევაში მხოლოდ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს ენიჭებათ, რადგან კანონის თანახმად, ნაციონალურ მოძრაობას ამ პროცესში ჩარევის უფლება არა აქვს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ექვსი ოპოზიციური პარტიის წევრია: რესპუბლიკური პარტიის, კონსერვატიული პარტიის, მრეწველთა პარტიის, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის, „ჩვენ თვითონ“ და ლეიბორისტული პარტიის.

კომისიის წევრები ფარული კენჭისყრით, არანაკლებ ოთხი ხმით ირჩევენ თავმჯდომარეს. მათ ხუთდღიანი ვადა აქვთ იმისთვის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღონ. მაგრამ თუ პარტიული წარმომადგენლობა ცესკოს თავმჯდომარეს ვერ დაამტკიცებს, საქმეში უკვე პარლამენტი ერთვება. დეპუტატები ვალდებული არიან ერთ კვირაში საბოლოოდ უყარონ კენჭი კანდიდატებს.

4 იანვრიდან ცესკოში განცხადების მიღება დაიწყო. თავმჯდომარეობის მსურველთა პარალელურად, საბუთები მიიღება კომისიის წევრობის სამ ვაკანტურ ადგილზე, ვინაიდან ლუხუმ ბურჯალიანს, ემზარ ფაჟავას და გიზო მჭედლიძეს წევრობის ვადა ამოეწურათ.

ცესკომ ახალი თავმჯდომარე განსაზღვრული ვადით 11 იანვრამდე უნდა აირჩიოს, ხოლო თუ საკითხის განხილვა პარლამენტში გადაინაცვლებს, პროცესი 18 იანვრამდე გაიწელება.

ლევან თარხნიშვილი მოხვდება თუ არა სამეულის სიაში, გაურკვეველია, თუმცა მისი თქმით, თუ პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად მის კანდიდატურაზე შეთანხმდება, ის ამ თანამდებობის დასაკავებლად მზად არის.

გავრცელებული ინფორმაციით, თარხნიშვილის შემცვლელად განიხილებოდნენ სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე და არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალი თაობა — ახალი ინიციატივის“ თავმჯდომარე კოკი იონათამიშვილი.

ეს კანდიდატები თარხნიშვილმა ამთავითვე გამორიცხა, ვინაიდან არც ერთს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი არ აქვს.

ამ სერტიფიკატის მოსაპოვებლად დეკემბერში 1200-მდე კანდიდატი იბრძოდა, თუმცა მხოლოდ რამდენიმემ შეძლო გამოცდების წარმატებულად ჩაბარება.

კონსერვატორები მოუწოდებენ ამ ადამიანებს, შემოიტანონ ვაკანტურ თანამდებობებზე განაცხადი, რადგან არჩევანის მეტი საშუალება მიეცეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს და რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებელი და პოლიტიკურად არაანგაჟირებული კადრებით დაკომპლექტდეს საარჩევნო ადმინისტრაცია.

**მაგრამ ამ ცვლილებების მიუხედავად, ბოლომდე მაინც არავინ ენდობა თუნდაც ახალ თავმჯდომარეს. ალბათ, გახსოვთ როგორი ერთსულოვანი იყო ოპოზიცია, როცა ლეიბორისტების იდეას უჭერდა მხარს. იდეა კი იმაში მდგომარეობს, რომ ქართული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი გაეროს მიმართავს დახმარებისთვის, რათა ამ ორგანიზაციის მეთვალყურეობით ჩაიაროს ქართულმა საარჩევნო პროცესმა. რა პოზიციას გამოხატავს გაერო, ჯერ საბოლოოდ გარკვეული არ არის, მაგრამ ცნობილია, როგორ არ ეპიტნავება ჩვენს ხელისუფლებას, გაერომ ცხვირი ჩაყოს იქ, სადაც მას არავინ არაფერს ეკითხება.**

**ნია ფიფია**

◉ ინფორმაცია

# თვრამეტი წლის წინათ „თბილისის ომი“ სამოქალაქო ომით დასრულდა

**1992 წლის 6 იანვარს თბილისში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეებსა და ოპოზიციას შორის შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც ისტორიაში „თბილისის ომის“ სახელით შევიდა, დასრულდა.**



**შეიარაღებული დაპირისპირება 1991 წლის 22 დეკემბერს დილის 8-ის ნახევრიდან რუსთაველის გამზირზე დაიწყო. შეიარაღებულმა ოპოზიციამ საქართველოს პარლამენტს ალყა შემოარტყა და მისი შტურმით აღება სცადა. თბილისის ომის დროს, რომელიც მიმდინარეობდა 15 დღის განმავლობაში, არაოფიციალური მონაცემებით, 100-ზე მეტი ადამიანი შეიწირა. საარტილერიო სროლების შედეგად დაანგრია და გადაიწვა ქალაქის ცენტრში მდებარე შენობა-ნაგებობები. პარლამენტის შენობა, თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობა, სასტუმრო „თბილისი“, მხატვრის სახლი და სხვა ნაგებობები.**

**შეიარაღებულ დაპირისპირებას, რომელიც 6 იანვარს გამსახურდიას მიერ საქართველოს დატოვებით დასრულდა, სამოქალაქო ომი მოჰყვა. ექს-პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეები მიიჩნევენ, რომ შეიარაღებული დაპირისპირება ეროვნული გვარდიის ოპოზიციურად განწყობილი ნაწილის მიერ იყო პროვოცირებული.**

**მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიამ საქართველო დატოვა, ქვეყნის მართვა საკუთარ თავზე აიღო სამხედრო საბჭომ, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ექს-პრემიერ მინისტრი თენგიზ სიგუა, ექს-თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და შეიარაღებული ფორმირების „მხედრიონის“ მეთაური ჯაბა იოსელიანი.**

**გამარჯვებულთა ტრიუმვირატმა, სსრკ-ის ექს-საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც იმჟამად მოსკოვში ცხოვრობდა, მიიჩნია ფიგურად, რომელსაც ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობის დამყარება შეეძლო. 1992 წლის 7 მარტს შევარდნაძე საქართველოში ჩამოიყვანა და 10 მარტს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია.**

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია 1991-92 წლებში თბილისში მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებას შევარდნაძე-სიგუა-კიტოვანის სისხლიან გადატრიალებას უწოდებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ფიქრები



**ახალი წელი საქართველოში პომპეზურად აღინიშნა.**

**მაგრამ უიმედოა ხალხის განწყობა.**

**რაც დასახარჯი იყო, ის საგულდაგულოდ გადანახული ორი გროში ახალი წლისთვის უკვე გაიხარჯა. სიხალვათეა ბაზარში, არადა ჯერ წინ არის შობა და ძველით ახალი წელი.**

# თბილისი, ბათუმი... გაფეიერვერკებული საქართველო და უკმაყოფილოთა ახალი წელი

მახსოვს, როგორ აღნიშნავდნენ ახალ წელს სულ რამდენიმე წლის წინათ, ავტომატების ჯერით, თოფების გრიალით, დინამიტით. ახლა ფეიერვერკები ამშვენებდა თბილისს, ულამაზესი იყო დედაქალაქი, მაგრამ ამ ფონზე კიდევ უფრო მეტად აკლდა უმთავრესი ხიბლი – ხალხის განწყობა, რომელიც რატომღაც არ ჰგავდა საზეიმოს, სამხიარულოს...

საათნახევარი უწყვეტი ფეიერვერკი იყო ბათუმშიც, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ევროპულ ქალაქებს, მსოფლიო დონის შესაშური ოპერის მომღერლები ამშვენებდნენ გრანდიოზულ სცენას... როგორც ამბობენ, სცენის გარშემო სპეციალური გათბობა იყო დამონტაჟებული და სიცივე არ უგრძვნიათ მსახიობებს...

ბათუმის სასტუმროებს თბილისური ბომონდი სტუმრობდა...

ბათუმი სამოთხეა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ ვარდების ხელისუფლების დამსახურებაა. მახსოვს, როგორ ათასფერად აბდღვრიალებული იყო ბათუმი ასლანის ხელისუფლების დროსაც. მაშინ მთელ საქართველოს შუქი გრაფიკით მიეწოდებოდა: დილის 8 საათიდან 12-მდე, საღამოს 8 საათიდან 12-მდე. პირდაღებული ვათვალიერებდით 1 დეკემბერს ბათუმში ჩასული ჟურნალისტები ზღვის სანაპიროს. ჩამწკრივებული პალმები ათასფრად ციმციმებდნენ. ულამაზესი დიდი ნაძვის ხე უძვირფასესი სათამაშოებით იყო მორთული. გვიან ღამემდე ვიცინეთ, გაფრთხილებულები ვიყავით, თქვენს უსაფრთხოებაზე პოლიციელები ზრუნავენო (უმეტესად გადაცმულები), მანქანის დატოვების არ შეგეშინდეთ, ხელს არავინ ახლებსო.

სასტუმროს ნომერში ყოველ შეკვეთილ ფინჯან ყავაზე საჩუქრად მოჰქონდათ მანდარინით სავსე ლამბაქი, წელს უხვი მოსავალი გვაქვსო. საკვირველი იყო, რომ არ ნერვიულობდნენ მისაღებ ხელფასზე და პენსიაზე: ყოველი თვე დათქმულ რიცხვში უკლებლივ რიგდებოდა. მართალია მწირი და მცირე, მაგრამ „გაყინულს“ ბევრად სჯობდა.

იყვნენ უკმაყოფილო აჭარლები. განსაკუთრებით ასლან აბაშიძის აღურიცხავი და აურაცხელი ქონებით გაღიზიანებულები, მაგრამ რაც მთავარია, ჰქონდათ გზა, შუქი, პენსია, ხელფასი და ზღვა – აჭარის უმთავრესი სიმდიდრე. სამაგიეროდ, ცოტა იყო დამსვენებელი, ვინ ჩავიდოდა გაძვალტყავებული საქართველოს დანარჩენი კუთხეებიდან, როცა სილატაკისგან სულს ძლივს ითქვამდნენ.

იმის თქმა მინდა, რომ აჭარის წალკოტად ქცევა, მაინცდამაინც მხოლოდ სააკაშვილის დამსახურება არ არის, მას საამისოდ მყარი საძირკველი დახვდა. კარგად მახსოვს, რა კმაყოფილი იყო ასლან აბაშიძე, როცა ბათუმი-ქობულეთის უმოკლესი გზის ვირტუალური პრეზენტაცია მოაწყო. ასევე კარგად მახსოვს ბათუმის უნივერსიტეტის მდიდრულად მორთული სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო. გვიყვებოდნენ თუ როგორ მოდიოდა ასლან აბაშიძე ყოველ საღამოს უნივერსიტეტში რესტავრაციის თვალის სადევნებლად, როგორ ზრუნავდა ფარდებს და საკუთარი გემოვნებით უხამებდა ფერებს ერთმანეთს...

მოკლედ, ასლან აბაშიძის ადვოკატობა კი გამომივიდა, მაგრამ ეს ის გაოცება იყო, რასაც მაშინაც იწვევდა ბათუმი, მაშინ, როცა დანარჩენი საქართველო ბნელში იყო გახვეული.

თუმცა არა, ქუთაისსა და იმერეთის რეგიონსაც შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა. პრივილეგირებული ლიდერების მფარველობის ქვეშ მყოფ რეგიონებს არა უშავდათ რა.

დროება შეიცვალა... ახლა მთელი საქართველო ჩახჩახებს (მტერს უბრმავებს თვალებსძ, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მოყვარესაც დაუბრმავა თვალი. დაუბრმავა იმიტომ, რომ ზოგს ჭალი შინ ვერ დაუკიდია, გამზირებზე კი ყოველ ნაბიჯზე ბრწყინავს, ჭალი კი არა, ლუკმაპურის შოვნა უჭირს, ცხელი სადილი ენატრება, ავტობუსში ფულის გადახდა ენანება იმიტომ, რომ შინ ინვალიდი შვილი ელოდება... ასეთ გასაჭირსა და საწუხარს ქუჩაში, ტრანსპორტში, სამეზობლოში უამრავს გადაეყრები და მოისმენ...

ახალი წელი საქართველოში ბავშვებს და ახალგაზრდებს ახარებთ მხოლოდ, ისიც იმიტომ, რომ ჯერ ცხოვრების მძიმე ტვირთი არ აუკიდებიათ და ჰგონიათ, ის ტვირთი ისეთივე მსუბუქი და სასიამოვნოა, როგორც ფინეთიდან ჩამოყვანილი სანტა-კლაუსის ხურჯინი, რომელიც მილიონი ლარი დაუჯდა ჩვენს ხაზინას; ჰგონიათ, რომ რამდენიმე მილიონიანი გრანდიოზული შოუებივით სასიამოვნო და სიურპრიზებით სავსეა ცხოვრებაც.

მეც ასე მინდა იყოს, ასე მჯეროდეს და არა მხოლოდ ბავშვებს, ახალგაზრდებს, ბომონდებს და ელიტას უხაროდეს ახალი წელი, არამედ მთელ საქართველოს, ქართველ ხალხს...

**მართლაცდა, რა შეჭირვებული უნდა იყოს ადამიანი, რომ თბილისის მშვენიერება აღიზიანებდეს, ბათუმის სილამაზეს ვერ აღიქვამდეს და მაშხალების ხმაურზე გული უწუხდეს; მაგრამ, რას იზამ, სამწუხაროდ და ხელისუფლების სამარცხვინოდ ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ „შემორჩნენ“ საქართველოს...**

**ახალი წლის დღეები მალე ჩაივლის და დროა, ისეთივე მონდომებითა და ენერგიით იზრუნოს ხელისუფლებამ მათ ბედზეც, ვისაც ახალი წელი არ უხარია, როგორც ახალი წლის დასახვედრად გამოიდო თავი...**



**თეა მოსია**

წკეპლიკები

## „გართობა“

**პირველად საქართველოში, ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეიქმნა კარუსელი, კარუსელი უნიკალური: ხშირ-ხშირად რომ იცვლებს, ყრის მგზავრ-მინისტრებს. შერჩევაც უნიკალურია, არ დავაზუსტებ...** საინტერესოა, რა ნიშნით და რა ხნით ირჩევა ახალი მინისტრი? დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს მიშას გართობის ერთ-ერთი ფორმაა. ალბათ მას მობეზრდა რამდენჯერმე ერთი და იგივე, არარსებული საწარმოს გახსნა, წითელი ლენტის გაჭრა, ავტორალის მაგისტრალზე ფორმულა 2-ით გასეირნება, ბათუმში თურმე მსოფლიოში ჯერ არაშენებული უმაღლესი კლასის სასტუმროს მაკეტის დემონსტრირება, ახლახან კი ბედნიერი სახით პირველმა და ალბათ პირველად თავის სიცოცხლეში აანთო საახალწლო ნაძვის ხე. აბა, რა ქნას, ერთობა, ის ხომ პრეზიდენტია...

## ინდიფერენტიზმი თუ...

**შემაშფოთებელია, რომ ინდიფერენტიზმი ბოროტი თესლივით მოედო ჩვენს მოქალაქეებს.** ზეობს სიზარმაცე, თავის შეუწუხებლობა, საკუთარ ნაჭუჭში ყოფნა, შიში, გულქვაობა, სხვისი ჭირის ღობის ჩხირობა, როცა თვალს ვხუჭავთ უსამართლობაზე, ვამჯობინებთ აშმორებულ მდგომარეობაში, ტყუილში ყოფნას, როცა ვერ ვაცნობიერებთ ჩვენი არსებობის ნამდვილ აზრს, არსსა და მოვალეობას, ვეძებთ და ველოდებით მხსნელს, ბელადს, ვაზროვნებთ ვიწრო, ყალბი პარტიული ინტერესებით და არა მაღალეთიკური, სახელმწიფოებრივი ცნობიერების პრინციპებით.

ინდიფერენტიზმთან დაკავშირებით მახსენდება ჯონ კენედის სიტყვები წინა საარჩევნო ინტერვიუდან. „მაშფოთებენ ადამიანები, რომლებიც ამჯობინებენ გვერდზე დგომას, ჩაურევლობას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენების გადაწყვეტის საქმეში“.

ინდიფერენტიზმი სახელმწიფოს ღალატის ტოლფასია.

## იწერება საქართველოს ახალი ისტორია

**საქართველოს ისტორია, ისტორია სრულიად ახალი, გმირული იწყება 2003 წლიდან.** რომელი ერთი წარმატება ჩამოვთვალოთ: პირველად საქართველოში ნულოვანი ტოლერანტობის აღიარება, პოლიტიკურ ოპონენტთა დევნა-დაჭერა, თავისუფალი სიტყვის აკრძალვა, ეროვნულ ღირებულებათა, განათლებისა და მეცნიერების სრული დაუფასებლობა, ღვაწლმოსილ ადამიანთა „ჩარეცხვა“, სამაგიეროდ ე. წ. ახალი ტიპის ადამიანის HOMO MISHICUS-ების შექმნა, „კმარელების“ გაპროფესორება, კერძო საკუთრების კანონდარღვევით ჩამორთმევა. სასამართლოსა და ტელე-არხების ხელისუფლების კერძო საკუთრებად გადაქცევა, უზრდელობის, ქილიკის, სიბრიყვის, ტრაბახის ზეიმი, შავი პიარის მომძლავრება, მიზანდასახული ბრძოლა ადამიანის ღირსებასთან, უმუშევართა კატასტროფული ზრდა, საოცრად „ინტელექტუალური“ ერთპარტიული პარლამენტი, საეჭვო ტენდერები, ქართული ბიზნესის ჩახშობა, ტყეების ჩეხვა-განადგურება, დიპლომატიის სრული არარსებობა, დღენახევრიანი უაზრო ომის დაწყება, დამარცხების გამარჯვებად აღიარება, ქვეყნის ტერიტორიის ოცი პროცენტის დაკარგვა, ათასობით ახალი ლტოლვილი, მათთვის ფერად-ფერადი გეტოების აშენება ხრიოკ მიწაზე და, იმავდროულად, ასობით მილიონიანი პრეზიდენტის რეზიდენციის აშენება, დახმარებით მიღებული თანხების საეჭვო გაქრობა, უგემოვნებო შოუები, ძვირადღირებულ უცხოელ მსახიობთა მოწვევა და ხელისუფლების მრავალი „წარმატებული“ მოქმედება...

ასე იწერება საქართველოს ახალი ისტორია.

**ლონდა მდივანი**

ინფორმაცია

## აფხაზები ქართველთა მიტოვებულ სახლებს აღწერენ

**გალსა და გალის რაიონში აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ქართველების მიტოვებული საცხოვრებელი სახლების აღწერის პროცესი დაიწყო. განაცხადა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის მიმართულების ოფიციალურმა წარმომადგენელმა თორნიკე კილანავამ.**

**– სეპარატისტები არჩევნებს უკვე მორჩნენ და მიტოვებული საცხოვრებელი სახლების აღწერის პროცესი დაიწყეს. აღნიშნული პროცესი სოხუმსა და გაგრაში მათ კარგა ხნის წინათ ჩაატარეს და ამჟამად გალსა და გალის რაიონს მოადგნენ, – აცხადებს კილანავა და განმარტავს, რომ გალსა და გალის რაიონში ქართველების მრავალი მიტოვებული სახლი არსებობს, რომლებიც პატრონებმა იქ მყოფ ნათესავებს ან თანასოფლელებს ჩააბარეს.**

## სოხუმში ჯოპუას სახლი დაცხრილეს

**სოხუმში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან უცნობმა პირებმა ოჩამჩირის რაიონის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელის ხრიპს ჯოპუას სახლი დაცხრილეს.**

**აფხაზური მხარის ინფორმაციით, სახლის მცხოვრებლებისგან არავინ დაზარალებულა. თავდასხმა გუშინ დილით 04:00 საათზე მოხდა.**

**აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ალსანიშნავია, რომ ხრიპს ჯოპუა აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატად იყრიდა კენჭს ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატთან ზაურ არძინბასთან ერთად.**

ჯი-ეიჩ-ენი

ალიარება



# ამომავალი მზის ორდენი — მედეა პირველს

**გასული წლის ბოლო დღეს იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მასაიოში კამოჰარამ იაპონიის იმპერატორისა და იაპონიის მთავრობის სახელით ამომავალი მზის ორდენი გადასცა იაპონური ენის ცნობილ ქართველ სპეციალისტს მედეა პირველს.**

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მედეა პირველმა ქართველ იაპონისტთა არაერთი თაობა აღზარდა. იგი იაპონურ ენასა და კულტურას ასწავლიდა და ასწავლის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა უნივერსიტეტში, აზიისა და აფრიკის სახელმწიფო ინსტიტუტში, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, თბილისის 34-ე და 51-ე საშუალო სკოლებში. გარდა ამისა, იგი სამეცნიერო ლიტერატურის საუკეთესო მთარგმნელად ითვლება იაპონურ, ინგლისურ თუ რუსულ ენებზე და პირიქით — ამ ენებიდან. მედეა პირველმა 1972 წელს დაამთავრა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის იაპონური ენის განყოფილება და მას შემდეგ მთარგმნელად და პედაგოგად მუშაობს თბილისის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ სკოლებში.

იაპონური ორდენით ქართველი სენსეის დაჯილდოებას მედეა პირველის არაერთი ყოფილი მოწაფეც ესწრებოდა, ზოგიერთი მათგანი დღეს იაპონიის საელჩოში მუშაობს.

ამომავალი მზის ორდენი — კიოკუჯიცუშიო — უძველესი იაპონური ორდენია, იგი 1875 წლის 10 აპრილს დაარსდა იმპერატორ მეიჯის სპეციალური ბრძანებით. ამომავალი მზის ორდენი რანგით მეორეა იაპონურ ორდენთა იერარქიაში ქრიზანთემის ორდენის შემდეგ. ამომავალი მზის ორდენით აჯილდოებენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო დამსახურებისათვის და დიდხანს იგი მხოლოდ იაპონელთათვის და მხოლოდ მამაკაცთათვის იყო განკუთვნილი. 1981 წელს მიღებული ახალი სტატუსის თანახმად, ორდენი შეიძლება არაიაპონელებსაც მიენიჭოთ, 2003 წელს გატარებული რეფორმის შემდეგ კი იგი ქალებსაც გადაეცემათ. ამომავალი მზის ორდენს რვა სხვადასხვა ხარისხი აქვს. მედეა პირველი მე-5 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ესაა ამომავალი მზის ორდენი ოქროსა და ვერცხლის სხივებით.

**— ცოტა დაბნეული ვარ, მაგრამ არ შემიძლია დავფარო უსაზღვრო ბედნიერება! დიდი მადლობა იაპონიის მთავრობას, რომელმაც ასეთი მაღალი შეფასება მისცა ჩემს მოკრძალებულ შრომას,** — თქვა ქართველმა სენსეიმ, როცა მას მკერდზე თეთრი მინანქრით გაწყობილი მოოქროვილი ვერცხლის ულამაზესი ორდენი დაამაგრეს — **მართლა ამომავალი მზესავით თვალისმომჭრელი.**

ორდენთან ერთად იაპონიის ელჩმა მედეა პირველს სპეციალური ეტრატი-სერტიფიკატი გადასცა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქართველ იაპონისტს ეს ჯილდო იაპონიის წინაშე დამსახურებისათვის მიენიჭა.

ამომავალი მზის სხვადასხვა ხარისხის ორდენი არაიაპონელთაგან სხვადასხვა დროს მიღებული აქვთ კონრად ადენაუერს, კარლ მანერჰაიმს, დუგლას მაკარტურს, ჯორჯ მაუნტბატენს, ჯორჯ შულცს, კლინტ ისტვუდს, მსტისლავ როსტროპოვიჩს, იური ლუზიმოვს, იოზეფ ბლატერს...

2009 წლის 20 მაისს, ზუსტად თავისი დაბადების დღეს, ამომავალი მზის მეოთხე ხარისხის ორდენი გადაეცა ცნობილ იაპონისტს — იუკიო მიშიმას, კობო აბეს, ტაკეში კაიკოსა და სხვათა მთარგმნელს გრიგორი ჩხარტიშვილს, რომელსაც, როგორც მწერალს, ლიტერატურული სამყარო ბორის აკუნინის სახელით იცნობს.

გრიგორი ჩხარტიშვილი იაპონური ორდენის პირველი ქართველი კავალერია, ხოლო მედეა პირველი საქართველოს პირველი მოქალაქეა, რომელიც იაპონური ორდენით დაჯილდოვდა.

**გიორგი ჯორჯაძე**

განგაში

***ისტორიულად თუში ხალხის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა იყო და არის მეცხვარეობა. მან დღემდე შეინარჩუნა მსოფლიოში ცნობილი ერთადერთი წმინდა თუშური ცხვრის ჯიში, რომლის ძვირფასი მატყლი, გუდის უგემრიელესი ყველი და ცხვრის სხვა პროდუქტები თუშებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაჰქონდათ.***

***მეცხვარეობა ძალზე ძნელი, თითქმის აუტანელი და ერთობ შრომატევადია, რადგან მეცხვარეები მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან — ცხვარი საზაფხულო საძოვრებზე — თუშეთში გადაჰყავთ და აზაფხულებენ. მეცხვარეები ამ მანძილს, დაახლოებით 500 კილომეტრს, ფეხით საშუალოდ თვენახევარში გადიან. მათი სამუშაო დღე ოცდაოთხი საათით განისაზღვრება. და ამ მძიმე პირობების მიუხედავად, თუშმა ხალხმა შეუძლებელი შეძლო და წმინდა თუშური ცხვრის ჯიში მოსპობისაგან გადაარჩინა, დღემდე შემოგვინახა.***

# როცა სამინისტროს მესვეურებს მეცხვარეობაზე წარმოდგენაც არა აქვთ!

## თუშური ცხვრის მოსპობის „არაბული მეთოდი“ შეუფერხებლად მუშაობს

არადა, თუშეთში მეცხვარეობის განვითარების ისტორიის მანძილზე, წმინდა თუშური ცხვრის ჯიშის მოსპობის მრავალი მცდელობა იყო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე თუშეთში ათიათასობით ცხვარი იყო, მაგრამ თუშეთის მდიდარი მეცხვარეები თავიანთ შემოსავალს სხვა წარმოებაში არ აბანდებდნენ, რათა ხელი შეეწყოთ ცხვრის შემდგომი მოშენებისა და მეურნეობის ამ დარგის განვითარებისთვის. იმპერიალისტურმა ომმა თუშეთის ეს ცხვარიც თითქმის გაანადგურა და მეცხვარეების მიერ ბანკებში შეტანილი კაპიტალიც გააქრო, მაგრამ თუშმა ხალხმა ეს უბედურებაც გადაიტანა და კვლავ დაიწყო თუშური ცხვრის მოშენება-გამრავლება...



რევოლუციამ და კოლექტივიზაციამაც ძალზე დიდი დაღი დაასვა მეცხვარეობის განვითარებას. არც შემდგომ ყოფილა დარგის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები — მცირდებოდა შირაქში საზამთრო სათიბ-საძოვარი სავარგულები, ბარში — ცხვრის საძოვარი და გადასარეკი „ტრასების“ მიმდებარე ტერიტორიები, ასევე შირაქისა და თუშეთის სათიბ-საძოვარი სავარგული მიწის ფართობები, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში წმინდა თუშური ცხვრის მოშენება-გამრავლებისთვის იყენებდნენ.

არც თუ ისე დიდი ხანია, ეს ადგილები ნაკრძალების, ეროვნული პარკების, დაცული ლანდშაფტების და ტურისტული ბაზების მშენებლობის ადგილად იქცა. დღეს ეს ადგილები ძირითადად გამოყენებულია ამჟამინდელ „მეფეთა“, სახელმწიფო მოხელეთა, ჩინოვნიკების და ბონზების სანადიროდ და დასასვენებლად.

მკითხველს არ ეგონოს, თითქოს შირაქსა და თუშეთში ნაკრძალების, ეროვნული პარკების, დაცული ლანდშაფტების და ტურიზმის განვითარების წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ მათი გაფართოება-განვითარებით ხელი არ უნდა შეეშალოს წმინდა თუშური ცხვრის მოშენება-გამრავლებას, რისი ერთადერთი საშუალება ზამთრის და ზაფხულის სათიბ-საძოვარი მიწის ფართობების რაოდენობაა.

საქართველოში ბოლო დროს განხორციელებულმა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციამ და ცხვრის კერძო საკუთრებაში ყოლამ დასაბამი მისცა თუშ ხალხს, დაეწყოთ მეცხვარეობის ხელახლა აღორძინება, მაგრამ ამის პარალელურად, არა მარტო წმინდა თუშური ცხვრის, არამედ თუშური გუდის ყველის მოსპობის ახალი, ალბათ ბოლო — არაბული ეტაპიც დაიწყო და წინა პირობებიც უკვე გამოიკვეთა: **ბოლო ორი წელია, რაც არაბები დიდი რაოდენობით თუშურ ცხვარს ყიდულობენ, მაშინ, როდესაც საქართველოს ბაზრებში თუშური ცხვრის ხორცი სანთლით საძებნია, ხოლო თუ იყიდება, ისიც — მამასისხლად.**

არადა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მესვეურთა აზრით, არაბების მიერ თუშური ცხვრის ასეთი დიდი რაოდენობით ყიდვას თურმე **ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს თუში ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, თუშური „ცხვრის გაახალგაზრდავების“ და მოშენება-გამრავლების თვალსაზრისითაც.**

ეს რომ ასე იყოს, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ ასეთ რომ არ არის?!

რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ცხვარი ჰყავს თუშეთის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს. **ამდენად, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ამჟამად ცხვარი არ არის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი საშუალება.**

მეორეც, თურმე ცხვრის მასიური გაყიდვით თუშური „ცხვრის გაახალგაზრდავება“ ხდება.

**საინტერესოა, სამინისტროს მესვეურებმა საიდან მოიტანეს ტერმინი „ცხვრის გაახალგაზრდავება“? ეს ტერმინი, თუში ხალხისა და თუშური ცხვრის არსებობის ისტორიის მანძილზე არავის სმენია და გაუგია.**

ამიტომ, სამინისტროს მესვეურთა მიერ შემოგდებული ეს ტერმინი მიგვანიშნებს, რომ **მათ საერთოდ წარმოდგენა არა აქვთ როგორც თუში ხალხის ისტორიაზე, ისე თუშური ცხვრის ბუნებაზე და, საერთოდ, მეცხვარეობაზე.** ჩვენი აზრით, ეს არის მხოლოდ შირმა, რომელსაც თუშური ცხვრის თითქოს „გადარჩენა-გამრავლების და გაახალგაზრდავების კეთილმოსურნე“ ადამიანები არიან ამოფარებული.

ისტორიულად თუშები წმინდა თუშური ცხვრის ჯიშის გამრავლება-გაუმჯობესებას ბუნებრივი შერჩევის, ე. წ. „წუნდებული ცხვრის გადარჩევის“ მეთოდით ახერხებდნენ. ცხვრის პატრონები ყოველ შემოდგომას ცხვრიდან გადაარჩევდნენ ე. წ. „წუნდებულ ცხვარს“ და დარჩენილს საზამთროდ დააყენებდნენ. წუნდებული ცხვრიდან ნაწილს საოჯახოდ იტოვებდნენ, ნაწილს კი ადგილობრივ, ბაზრებზე ყიდდნენ. ასევე თუშებს ტრადიციად ჰქონდათ, რომ ადრე გაზაფხულზე, შუა ზაფხულში და შემოდგომაზე ნამატი ცხვარი და ცხვრის ხორცი თბილისის ბაზრებში გაეყიდათ (თუშები არასდროს მასიურად და დიდი რაოდენობის ცხვარს არ ყიდდნენ). ბაზრების დახლები თუშური ცხვრის ხორცითა და თუშური გუდის ყველით იყო გაჯერებული. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

ორი წელია, რაც არაბები ძალიან ძვირად — 120 დოლარად — დიდძალ ცხვარს ყიდულობენ, რითაც ცხვრის რაოდენობა მკვეთრად მცირდება და, რაც ყველაზე ცუდია, ფულს დახარბებულმა თუში მეცხვარეების ერთმა ნაწილმა ორი წელია, შეწყვიტა ცხვრის წველა და თუშური გუდის ყველის კეთება. ცხადია, ეს უბედური სენი ყველა თუშ მეცხვარეს გადაედება და თუშური ყველის კეთება სამუდამოდ შეწყდება. ამ გზით დაიწყო თუში მეცხვარეების სამეურნეო საქმიანობის — ცხვრის წველისა და თუშური გუდის ყველის კეთების მაგიერ — „სახორცე მიმართულების მეცხვარეობის განვითარება“, რის შედეგადაც თუშური ცხვრის რაოდენობა შემცირდება და ბოლოს მოისპობა.

მკითხველს არ ეგონოს, თითქოს იმის წინააღმდეგი ვიყო, რომ თუშმა მეცხვარეებმა თავიანთი ცხვრის მაღალ ფასებში გაყიდვით მეტი შემოსავალი მიიღონ და კარგად იცხოვრონ. არა, პირიქით, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ცუდი და მიუღებელი ის არის, რომ ფულს დახარბებულმა მეცხვარეებმა შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს თავიანთი ცხვარი მთლიანად გაყიდონ. სწორედ ამ მოსალოდნელ საშიშროებაზე გვაქვს საუბარი და არა სხვა რამეზე.

შედეგი?! შეწყდება თუში ხალხის ბარიდან მთაში მიგრაცია, უპატრონოდ დარჩება და გავერანდება თუშეთისა და შირაქის სათიბ-საძოვარი მიწები, ისტორიის კუთვნილება გახდება წმინდა თუშური ცხვარი, თუშური ცხვრის გუდის ყველი, თუშური ცხვრის მატყლი, თუშური ცხვრის ყველის ჩოგი (გადაზელილი ყველი), ჩობან ჩაი, ცხვრის ხორცის ხინკალი, ცხვრისავე ხაში, თუშური ცხვრის მოხარშული ხორცი (ხაშლამა), თუშური ცხვრის ხორცის ყაურმა და ჩობან-ყაურმა, მთის მჟაუნით შენელებული ბატკნის ხორცის ჩაკაფული, ერბოში ამოვლებული თუშური ახალი უმარილო ყველის ხინკალი, კავკასიური დეკის ცეცხლის ალზე ნახური მწვადი და ყალი, თუშური ცხვრის რძის უგემრიელესი ხაჭო (კალტი) და მაწონი (წველა); თუშური ცხვრის მატყლისგან მოქსოვილი მსოფლიოში ცნობილი ხალიჩები, ფარდაგი, ნაბადი, ხურჯინები, წინდები, ჩითები, ქუდი, ჩოხა-ახალუხი, თუშური ხატობა, თუშური დოლი, თუშური ცხენი, თუში მეცხვარის ძაღლი და ა. შ.

**საკითხავია, ოდესმე დადგება ის დრო, როცა ქვეყნის ხელისუფალნი დაინტერესდებიან თუშური ცხვრის გადარჩენის ურთულესი პრობლემის გადაწყვეტით?**

**შოთა ყიზილაშვილი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თუშეთის მკვიდრი.**

დღესასწაული



# ხორციელად შობა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

უდიდეს დღესასწაულს, იესო ქრისტეს ხორციელად შობას განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს მართლმადიდებლური სამყარო, ვინაიდან აღსრულდა უფლის დანაპირები კაცთა მიმართ, რომ მოუვლენდა მხსნელს სოფლისასა.

...მაცხოვარი იესო ქრისტე ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისგან იშვა იუდეის ბეთლემში რომის იმპერატორის ავგუსტუს ოქტავიანეს დროს.

ქრისტეს შობის დღეებში რომის იმპერატორმა გამოსცა ბრძანება საყოველთაო აღწერისა – ყველა ებრაელი თავისი წინაპრის ქალაქში უნდა ჩაწერილიყო.

ცნობილია, რომ იოსები და მარიამი დავით მეფის ტომისგან იყვნენ და ქალაქ ბეთლემში გაემგზავრნენ. იქ, ღამის გასათევი ადგილი არ იყო და გამოქვაბულს შეაფარეს თავი. ეს ადგილი უამინდობის დროს პირუტყვთა სადგომი იყო... ღვთისმშობელმა ახალშობილი მაცხოვარი სახვევებში შეახვია და ბაგაში მიაწვინა.

ყრმის დაბადება ანგელოზთა დასმა მწყემსებს ამცნო ღვთაებრივი გალობით: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება...“

მახლობელი სოფლის მწყემსები გამოქვაბულისკენ დაიძრნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ ჩვილი და მისი მშობლებისთვის ეხარებინათ რაც იხილეს...

აღმოსავლეთიდან მოგვებიც გამოემგზავრნენ და ბეთლემს ეწვივნენ. მათ თაყვანი სცეს უფალს და შესწირეს ძღვენი – ოქრო, გუნდრუკი და მური...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „ახლაც, ამ წუთებშიც, ამ ქვეყნად იბადება მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, დასტური კაცთა მოდგმისადმი ღვთის უსაზღვრო სიყვარულისა და ღმერთსა და ადამიანს შორის ათასწლეულობით დარღვეული კავშირის აღდგენისა. მივეგებოთ მას სიხარულით და მივართვათ ძღვნად ჩვენი გული, რათა დაივანოს იქ და ეგოს ჩვენთან განუშორებლად“.

**გიული ლიპარტია**

---

**თამარ შაიშმელაშვილი**



## საშობაო

ჩუმი და მშვიდი
თოვლის შრიალით
შემოდის შობა
ღვთისმშობლიანი...
ჩაიფიქრებენ სურვილს
თითები,
ბეთლემის თოვლით
როს მოვირთვები...
თუ მარიამის
თრთოლვაა გულის,
იშვა იესო
შეწევნით უფლის...
ესამრეკლოვნენ
სარკმელს მოფრენით
შვიდმთვარიანი
ვაზის ფოთლები...
ანთებულია ცაში
სანთელი
და რთავს ალილო
სულებს ამ რთველით...
ჩამოფეთქილი იებით
თეთრით
წმინდა სამებით
დაგვლოცავს ღმერთი...
მზემშობლიური ჯვრით
პატრიარქის
გაიფანტება
ბურუს-წყვდიადი...
ჩუმი და მშვიდი
თოვლის შრიალით
შემოდის შობა
ღვთისმშობლიანი!..

პოზიცია

# „მარადიული ყოველთვის განსაზღვრავდეს დროებითს“

## ნომრის სტუმარია ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე სანდრო კავსაძე

**– ბატონო სანდრო, შევიტყვეთ, რომ თქვენ შეისწავლეთ და მოამზადეთ ანალიტიკური დასკვნა თემაზე: „ადამიანი, ადამიანის უფლებები და სახელმწიფო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ეპისტოლეებში“...**

– დიახ, და ამ ნაშრომს ვუძღვნი უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. ეს მიძღვნა არის ჩემი მეუღლის, პოეტ გულიკო კავსაძის ბოლო თხოვნის აღსრულებაც, რამეთუ სწორედ მისი სურვილით დავიწყე ამ თემაზე მუშაობა...

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მივულოცავ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს, ქართველი ხალხის სულიერ მამას, უწმინდესსა და უნეტარესს აღსაყდრებისა და დაბადების დღეებს – 25 დეკემბერს და 4 იანვარს.

**– მაინც, რატომ გადაწყვიტეთ აღნიშნული თემის წინ წამოწევა და რა მიზანს ემსახურება თქვენი შრომა?**

– მართალი გითხრათ, გული მწყდება, რომ ასე გვიან დავიწყე უწმინდესის სააღდგომო და საშობაო ეპისტოლეების შესწავლა. გამოგიტყდებით, რომ აღმოვაჩინე სიყვარულის, სიბრძნის, სიმშვიდისა და მოთმინების უშრეტი წყარო. დღეს, ამ მართლაც და ღვთიური წერილებით ვსულდგმულობ.

ეკლესიის წინააღმდეგ აგორებული ერთ-ერთი პიარ-კამპანიის დროს ჩემმა მეუღლემ მითხრა, „ეკლესია და მისი მსახურები ხომ არ დაიწყებენ თავის მართლებას, ან დებატებს ხომ არ გამართავენ, მრევლია ვალდებული დაიცვას თავისი ეკლესია. ვისაც შეგვიძლია არგუმენტირებული პასუხები გავცეთ გადაცდომილებს, ვალდებულები ვართ გავაკეთოთ ეს...“ და წამიკითხა აბზაცი ერთ-ერთი ეპისტოლედან... დავინახე, რომ პასუხები და არგუმენტები საძებნი არ იყო...

რაც შეეხება მიზანს, ის ძალიან კონკრეტულია: იურიდიული საზოგადოების ყურადღების გამახვილება იმ რეკომენდაციებსა და რჩევებზე სამართლიანობისა და სახელმწიფოს მოწყობის სფეროში, რაც შესანიშნავად არის გადმოცემული უწმინდესის სააღდგომო და საშობაო ეპისტოლეებში...

**– კონკრეტულად, რა თემები გააშუქეთ შრომაში?**

– ესენია: ეროვნული ღირსების, ადამიანის და ქართული იდეის, სახელმწიფოს მართვის, ძირითადი უფლებების, განსაკუთრებით რელიგიური მრწამსის თავისუფლების და სიცოცხლის უფლებათა შესახებ და სხვა. შრომაშიც გამოვყავი და ახლაც მინდა წარმოვაჩინო საოცარი გრძნობით და სილამაზით მოწოდებული სიყვარულის და მოწყალების თემები...

**– საინტერესო და ამავე დროს აქტუალური პრობლემებია, ხომ არ დავაკონკრეტოთ, მკითხველისთვის უფრო გასაგები, რომ იყოს?**

– გთავაზობთ, ჯერ გამოუქვეყნებელი შრომის მეორე თავს, სათაურით „ადამიანიც და ქართული იდეაც საფრთხეშია“, შემდეგ, თუ საჭიროდ ჩათვლით, გავაგრძელოთ...

**– „კაცობრიობის მთელ ისტორიაში ადამიანის პრობლემა ყოველთვის ერთ-ერთი უმთავრესთაგანი იყო. ჩვენს დროში კი იგი იმდენად აქტუალური და ძნელად გადასაწყვეტი გახდა, რომ ზოგჯერ გვეჩვენება, – სამყაროში აღარ დარჩა ადგილი კაცისთვის (სააღდგომო ეპისტოლე).**



მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ავტორიტეტი უმაღლესია საქართველოში, ხოლო მისი საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს, მაინც გამოჩნდებიან ხოლმე ცალკეული ადამიანები, პოლიტიკოსთა, ჩინოვნიკთა და მასმედიის მესვეურთა შორის, რომლებიც ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ ეკლესიის ურყევ ავტორიტეტს.

ჩვენს სინამდვილეში, სამწუხარო მაგალითებია, რომელთა ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში სიძულვილზე და შეუწყნარებლობაზე ამოზრდილმა ურწმუნოებამ (არა ათეისტებმა, იმიტომ, რომ მათ თავისი მრწამსი აქვთ), რწმენისგან სრულიად დაცლილმა ადამიანებმა, სინდისიდან, ზნეობიდან, მორალიდან თავისუფლებმა, შექმნეს თავისი პოლიტიკური ნების განმახორციელებელი მექანიზმი და მიზანდასახულად ებრძვიან ქართულ იდეას, ეროვნულ ისტორიულ, კულტურულ და ტრადიციულ მემკვიდრეობას.

როდესაც, 2009 წლის სექტემბრის დასაწყისში, საერო და საეკლესიო სამართლებრივი თემის კვლევის მიზნით რელიგიურ ლიტერატურას ვეცნობოდი, ერთმანეთის მიყოლებით გავრცელდა საპატრიარქოს განცხადებები.

გამოქვეყნებული დოკუმენტები მეტად მოკლე და ლაკონური იყო, თუმცა აშკარად ჩანდა ტკივილი, რომელიც მიაყენეს ეკლესიას და მის მესვეურებს, ქართული სამოქალაქო საზოგადოების წევრებს...

ერთ შემთხვევაში, ცდილობდნენ ეკლესიისთვის მიეწერათ სანდრო გირგვლიანის მკვლელების მფარველობა, მეორე შემთხვევაში – რუსულ ძალებთან საეჭვო თანამშრომლობა...

ვიდრე, უშუალოდ აღნიშნულ ფაქტებზე ვიტყვი რაიმეს, მკითხველს შევახსენებ ბუნების მარადიულ კანონს: მეხი ურტყამს, სადაც და როდესაც სურს... მაგრამ მას განსაკუთრებული ძალით იზიდავენ სიმაღლეები...

დიახ, სწორედ სიმაღლეა ამორჩეული ორივე შემთხვევაში და აშკარადაც ჩანს ცილისმწამებლური კამპანიის კონკრეტული მიზნები, კამპანიის ინიციატორები ხომ იმ **ფარისეველთა შთამომავლები** არიან, რომლებმაც იესო ქრისტეს დაუსვეს „მზაკვრული“ კითხვა: **„..ჰოდა, გვითხარი ჩვენ: როგორ ფიქრობ, უნდა ვაძლიოთ ხარკი კეისარს თუ არა?“** (მათე22.17)

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ფარისეველთა ნაშიერები თავს კომფორტაბელურად გრძნობდნენ, ფიქრობდნენ, რომ წაუგებელ თამაშს თამაშობდნენ... თუმცა **ფარისეველთა შთამომავალთ** დაავიწყდათ, რომ ნათქვამია: **„თვალთმაქცნო... „მიეცით კეისრისა კეისარს და ღვთისა – ღმერთს!“** (მათე 22.18.21)..

ვფიქრობ, დროული და აუცილებელი იყო საპატრიარქოს რეაგირება ამ ფაქტებზე, სამოქალაქო საზოგადოება კი ვალდებულია მეტად ჩაუღრმავდეს მომხდარს და სათანადო შეფასება მისცეს შორს გამიზნულ მცდელობას.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ შარშან, ოქტომბრის ბოლოს აგორებული კიდევ ერთი უხამსი კამპანია საქართველოს ეკლესიის და მართლმადიდებელი მრევლის მწყემსმთავრის წინააღმდეგ, ყოველგვარ დასაშვებ საზღვარს გადასცდა. ეს პიარაქცია, იმდენად დიდი ბოროტების მატარებელი იყო და არის, რომ მისთვის შეფასების მიცემაზეც კი ვიკავებდი თავს.

ვფიქრობდი, რომ შეურაცხმყოფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, სწორედ ხმაურის და აურზაურის მოწყობა იყო. მე არ მინდოდა ამ აურზაურში მიმეღო მონაწილეობა და არ მინდოდა უნებლიეთ, ხელი შემეწყო რწმენაგამოცლილი ორგანიზატორებისათვის.

მაგრამ როდესაც დავინახე, რომ ამ უზნეობამ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ალ-

გათ 80 პროცენტზე მეტი შეურაცხყო... თავი ვალდებულად ჩავთვალე, სამართლებრივი და ზნეობრივი შეფასებები მიმეცა ცილისწამებისა და ღირსების შელახვისათვის...

ზემოთ ნახსენები შეურაცხყოფები და ცილისწამებები, უპირველესად, არა მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანების, არა მხოლოდ ეკლესიის, არამედ სწორედ საქართველოს მოსახლეობის რელიგიური მრწამსის, საქართველოში მცხოვრები რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის ღირსების წინააღმდეგ არის მიმართული, ამ კამპანიამ **უხეშად შელახა საქართველოს ბევრი მოქალაქის ღირსება და პატივი.**

უხამსი აქციის დამცველები, საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიან, დემაგოგიურად იშველიებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას და საერთაშორისო კონვენციებს, ბევრ სხვა დოკუმენტს და ამბობენ, რომ მათ აქვთ აზრის გამოხატვის უფლება და რომ ეს უფლება განუყოფელია ადამიანის ძირითადი უფლებებიდან.

ამ შემთხვევაში, ლაპარაკი ადამიანის უფლებებსა და გამოხატვის თავისუფლებაზე, **სიკეთის სახელით ბოროტების ჩადენაა და** იმ ფარისეველთა და მწიგნობართა დემაგოგიური ხერხია, რომლებმაც 2000 წლის წინათ, ჯვარს აცვეს, თვით უფალი ჩვენი, იესო ქრისტე,...

ამონარიდი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლიდან: „ყველა ადამიანი იბადება **თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებით და უფლებებით.** მათ მინიჭებული **აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“;** ამონარიდი მეხუთე მუხლიდან, **„არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული... მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა...“**

„პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მეცხრამეტე მუხლის მესამე ნაწილი პირდაპირ მოითხოვს სახელმწიფოებისაგან კანონის მიღებას, რომელიც უზრუნველყოფს **სხვა პირების უფლებათა და რეპუტაციის პატივისცემას, მოსახლეობის ზნეობრიობის დაცვას... ამ პაქტზე საქართველო მიერთებულია და ამიტომ აუცილებლია შესასრულებლად.**

საქართველოს დედა ეკლესიის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის მესვეურები, არასწორად მიიჩნევენ იმ ფაქტსაც, რომ სახელმწიფო თავისი ბიუჯეტიდან, გარკვეულ თანხას უყოფს ეკლესიას.

თითქმის ყველა სახელმწიფო აფინანსებს თავის დედა ეკლესიას, სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა მოცულობით... **აქ უჩვეულო არაფერია, გარდა იმისა, რომ დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა დროშის ქვეშ გაერთიანებული ადამიანები, სვამენ ამ საკითხს... მათ შესანიშნავად მოეხსენებათ მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკა, ეკლესიების დაფინანსების შესახებ...**

ის, რომ მიუხედავად საზოგადოებრიობის უაღრესად უარყოფითი რეაქციისა, კამპანიის უშუალო მონაწილეები და შემსრულებლები არ იხევენ უკან, არ თმობენ პოზიციებს, ამჟღავნებენ შეუვალობას და კატეგორიულ განცხადებებსაც კი აკეთებენ – იმის სერიოზულ არგუმენტად უნდა ჩაითვალოს, რომ სახეზეა, არა მხოლოდ უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის შეურაცხყოფის ცალკეული ფაქტი (თავისთავად მძიმე ცოდვა), რომელიც აზრის გამოხატვის უფლებად უნდათ წარმოაჩინონ, არამედ ეს არის ღრმად გააზრებული ამორალური კამპანია, მიმართული საქართველოს დედა ეკლესიისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ეს არის ქართული სამოქალაქო საზოგადოების რელიგიური ღირსების და მრწამსის უხეში შელახვა...

რაც შეეხება კატეგორიულობას და შეუვალობას, ეს, როგორც წესი, ადამიანის უმეცრების, დაბალი კულტურის, მწირი ინტელექტის, გაუნათლებლობის და ურწმუნოების შედეგია. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ნებისმიერ ამორალურ და უზნეო საქმეში.

კიდევ ერთი შეფარული ბოროტება დავინახე ამ კამპანიაში; საქმე ის არის, რომ აქციის იდეოლოგები, რატომღაც რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვაზე პასუხისმგებლობას, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აკისრებენ!?

ვფიქრობ, ეს, აქცენტების გადატანის და საზოგადოების დაბნევის მიზნით კეთდება სპეციალურად. რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც წესი, ეს უფლებები დაცულია ერის ზნეობრივი და მორალური ფასეულობების შესაბამისად... **მხოლოდ დემაგოგმა შეიძლება მოთხოვოს ნებისმიერ ეკლესიას, იქადაგოს სხვა რელიგიის სასარგებლოდ, ან თავისი რწმენისგან განსხვავებულ რელიგიას დაუჭიროს მხარი, ან არ იზრუნოს „უძღები შვილის“ დაბრუნებისათვის!!!“**

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, სხვა დროსაც ხშირად ცდილობდნენ ცილისმწამებლური და ღვარძლიანი კამპანიების აგორებას. რას არ აბრალებდნენ ხან „კარჩაკეტილობას“ უწუნებდნენ, ხან „არქაულობაში“ სდებდნენ ბრალს, ხან ეკლესიისაგან, ქართული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებებში „ზომიერების“ დაცვას მოითხოვდნენ, განსაკუთრებით ხშირად დემოკრატიული მმართველობის, ლიბერალობისა და ადამიანის უფლებათა უგულებელყოფაში „ამხელდნენ“ მას.

ამ კვლევის მიზანია, პასუხი გავცეთ „შემოგდებულ“ კითხვებს, პოპულარული ენით მივაწოდოთ საზოგადოებას მეცნიერული და ემპირიული დასკვნებით არგუმენტირებული შეფასებები, სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებებზე, წარმოვაჩინოთ ის დიდი ძალისხმევა, რომლითაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იღვწის ქართული ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად.

ამ თავს დავასრულებ უწმინდესისა და უნეტარესის სიტყვებით, 1999 წლის სააღდგომო ეპისტოლედან:

**„დროებითმა განცდებმა მარადიულობა არ დაგვავიწყოს და ამასთან მარადიული ყოველთვის განსაზღვრავდეს დროებითს“.**

**ალექსანდრე ავალიანი**

## ◎ გულისთქმა

მერაბ ელიოზიშვილი

# ქართველობა თქვენს ბურჯს ეყრდნობა, უნეტარესო!

## საშობაო-საახალწლო მისალოცი და თხოვნა უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს



**მართლმადიდებელ ქართველთა სულიერო მუხავ!**

**მწერალი, სამღვდელო დიაკონი, ღვთისა და თქვენი მორჩილი მამა ელიოზი, უფალს თქვენს დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას ვავედრებ. თქვენი ლოცვის სიტყვები ვართ მძივებად ასხმულნი საინგილოდან ცხუმ-აფხაზეთამდე, კავკასიონიდან თავფარავნამდე. დღეს თქვენ ბრძანებთ ვახტანგიან-დავითიან-თამარიანის სადიდებელს, საქართველოს რომ ამტრედისფერებს და სიმართლისთვის გვრაზმავს.**

**რა დამავიწყებს იმ ნეტარ დღეებს, ჩემს პირველ ნაბიჯებს მწერლობიდან ეკლესიაში გარდასვლისა. წმინდა მირონს ვხარშავდით სვეტიცხოველში. იქვე, ერთ-ერთი სვეტიდან ორიათასი წლის წინანდელი, მცხეთა-ზაგინეთის ებრაელ მღვდელმთავარი ელიოზის ხატი მიყურებდა. იმედიანად ვუსვამდი ნიჩაბს მდუღარე ქვაბში აქაფქაფებულ მირონს, მორიდებით, ნაზად, თანაბარი მოსმით, რომ წვეთი არ ამოჩქეფებულიყო სიწმინდისა და იატაკს არ დასცემოდა. ისე გულმოდგინედ ვნიჩბოსნობდი, რომ მეგონა სულიერების ოკეანეს მივაპობდი. ილია ჭავჭავაძე წმინდა ილია მართლად შერაცხეს მაშინ.**

**კირიელეისონ, კირიელეისონ, კირიელეისონ – თქვენს წარმოთქმულს ადასტურებდა მგალობელთა გუნდი... მზესავით დაჰნათოდა ტაძარს წმინდა ილია მართლის ხატი. ერთ მუშტივით იყო შეკრული ეს ამოდენა ტაძარი წმინდა მირონის სურნელით გაჯერებული და მლოცველთა ერთობით აღტაცებული.**

**ვბერდები თქვენი სიწმინდით გულგამთბარ ქრისტიანულ საქართველოში.**

**თერგში ჩამდგარი ცოცხალი ხიდი ხართ, ქართველობა თქვენს ბურჯს ეყრდნობა, თქვენი ლოცვითა და თქვენი რწმენით ვმოძრაობთ მთელი ერი. თქვენი შვილები ვართ ყველა, მეც მათ შორის, თქვენი მორჩილი მწერალი და სამღვდელო დიაკონი, თქვენი მამა ელიოზი.**

**უწმინდესო და უნეტარესო, თქვენი პირველი წმინდანის ილია მართლის ქართული ბეთლემის „განდეგილის“ გამოქვაბულიდან, მზის სხივისაგან უარყოფილი ბერის პირით, თქვენი ნაჩუქარი ბიბლიით ხელში, ჩემს ერთადერთ თხოვნას გაგიმეორებთ:**

**„ოდესღაც ტაძარს, იმ გაუქმებულს, მინდა შევუდგე იმ ბერის ნაცვლად, რომელსაც ერთი ამბორის ჩანაფიქრიც არ შევასრულებინეთ, ამ ქვეყნიდან განდგომის უფლება წავართვით.**

**„სად რყვნა, წაწყმენდა და ღალატია,**
**„სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა,**
**სად ცოლი, ზაკვა ძულებადა ჰხდის**
**წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.**
**სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,**
**სად თვით სიტურფე და სათნოება**
**ეშმაკის მახე და ცდუნებაა“.**

**დღეს როცა ამქვეყნიური ცდუნებები სეტყვასავით გვაცვივა, მინდა ვცადო ბეთლემში მოვილოცო მწერალმა, მინდა თავზე ავიღო ყველას ცოდვა და სანთელივით დავანთო ცოდვილი მწერლის ცოცხალი გვამი“.**

## ◎ კონკურსი

# სუპერ – ბებია და ბაბუა გამოვლინდნენ

**„კათარზისში“ გაიმართა კონკურსი წლის საუკეთესო ბებიისა და ბაბუის გამოსავლენად, რომელშიც მონაწილეობდნენ მოხუცები, როგორც თბილისიდან, ისე თელავისა და საჩხერის „კათარზისებიდან“.**



– ყოველ წელს ვატარებთ ამ კონკურსს, ვირჩევთ საუკეთესო ბებიასა და ბაბუას. ეს ტრადიციული კონკურსია, – განაცხადა კათარზისის დირექტორის მოადგილემ გულიკო რომანიშვილმა.

ღონისძიების დამდგმელი რეჟისორი ილია ნიშნიანიძე იყო. მონაწილეები ერთმანეთს კონკურენციას ცეკვითა და სიმღერით უწევდნენ. ისინი 10-ბალიანი სისტემით შეფასდნენ. ჟიურის გადაწყვეტილებით, 22 ნომინაციაში „სუპერ-ბაბუა – 2010“ გაიმარჯვა 70 წლის ვახტანგ გოგუაძემ 50 ქულით, ხოლო „სუპერ-ბებია – 2010“ გახდა 82 წლის მარიკა სიხარულიძე 49 ქულით, რომელმაც უკვე მესამედ მოიპოვა წლის საუკეთესო ბებიის წოდება.

გამარჯვებულები „კათარზისის“ დამფუძნებელმა ზაურ ალადაშვილმა ტელევიზორებით დაასაჩუქრა. მათ საჩუქრები გადასცა ასევე ქალთა ძალის ასოციაციამ.

ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, მომღერალმა ნინო ჩხეიძემ დადებითად შეაფასა ეს ღონისძიება, თქვა, რომ ის პირველად ესწრებოდა ამ სახის კონკურსს, ჰყავდა თავისი ფავორიტები, რომელთა შორის იყვნენ კონკურსის გამარჯვებულები.

„კათარზისს“ სტუმრად ეწვია განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, რომელმაც სიტყვით მიმართა მონაწილეებს.



**თაკო შაიშმელაშვილი.**

***რედაქციისაგან:** დღეს თაკო (თამარ) შაიშმელაშვილის დებიუტია ჩვენს გაზეთში. მკითხველმა იცის, რომ სახელის საალერსო-კნინობითი ფორმით ხელმოწერის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ამჯერად გამოუვალი მდგომარეობა გვაქვს, რადგან უკვე გვყავს თამარ შაიშმელაშვილი, ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი, მეორე, უმცროს თამარ შაიშმელაშვილს, განსასხვავებლად, სახელი „შევუკვეცეთ“, მით უფრო, რომ ნაცნობ-მეგობრები სწორედ ასე იცნობენ. ფეხბედნიერი ყოფილიყოს მისი გამოჩენა „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე.*

## ◎ ინფორმაცია

### გამოავლინეს ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტები

**გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროს თანამშრომლებმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ საქობოში, ქარსაცავ ზოლში 9 ძირი ალვის ჯიშის ხის უკანონო ჭრის ფაქტი გამოავლინეს.**

**– უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი ჩამორთმეულია. გარემოზე მიყენებულმა ზიანმა 4760 ლარი შეადგინა. მასალები შემდგომი რეაგირებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს გადაეგზავნება, – განუცხადეს კახეთის საინფორმაციო ცენტრს გარემოს დაცვის ინსპექციის რეგიონულ ბიუროში.**

**გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროს თანამშრომლებმა ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში კი ხეტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროდან აცნობეს, სამართალდამრღვევმა ვერხვის ჯიშის საშეშე მერქნის ტრანსპორტირებისას ვერ წარმოადგინა ხეტყის კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.**

### კონტროლის პალატა საჯარო სკოლებსაც შეამოწმებს

**ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა განუცხადა.**

**მისი თქმით, 2010 წელს კონტროლის პალატის ერთ-ერთი პრიორიტეტი საგანმანათლებლო დაწესებულებების აუდიტი იქნება.**

**„კონტროლის პალატა მიიჩნევს, რომ განათლების სისტემისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეფორმამ უკვე მოიტანა ის შედეგები, რომელთა აუდიტის დრო დადგა“, –განაცხადა ბეჟაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მოსკოვის წისქვილზე წყლის მიშვება

**პროვოკაციები, თავისი არსით, პროვოცირებისთვისაა მოწოდებული და შესაბამისად მათზე პასუხი ისე, როგორც ამას მათი ავტორები იმედოვნებდნენ, ხშირად ყველაზე უარესი არჩევანია მათი მხრიდან, ვის წინააღმდეგაც იყო ისინი მიმართული. ეს იმ ადამიანებს, ვინც პროვოკაციებს იყენებს, იმ გამარჯვების მოპოვების შესაძლებლობას აძლევს, რომელიც მათ არ უნდა მოეპოვებინათ და ისინი ვის წინააღმდეგაც ისინია მიმართული, სხვადასხვა ფორმით მარცხდებიან, რასაც არ იმსახურებენ. მაგრამ ძალიან ხშირად პროვოკატორების ხაფანგში გაბმის ცდუნება იმდენად დიდია, რომ ბევრი ამ ცდუნებას თავს ვერ არიდებს**

საქართველოში (ან ნებისმიერ სხვა ადგილასძ ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ მოსკოვის დაზვერვის ფედერალური ბიუროს წარმომადგენლების ბოლოდროინდელი ბრალდებები, თითქოს თბილისი წვრთნის ან სხვა ტიპის მხარდაჭერას უწევს ისლამისტებს და ჩრდილოეთი კავკასიის ნაციონალისტ მებრძოლებს, აბსურდული პროვოკაციაა, მაგრამ საქართველოს დედაქალაქში კიდევ უფრო ცოტა აღიარებს იმას, რომ გათვლა უფრო მეტად მათ საპასუხო რეაქციაზეა, ვიდრე საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციაზე. ეს რუსეთის ხელისუფლების ორსახოვნების დამადასტურებელი ბოლო მაგალითია.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა (სხვა ეროვნულ ლიდერებზე მეტადძ საკუთარ თავს პროვოკაციაზე წამოგების უფლება მისცა, როგორც სჩანს დარწმუნებულმა, რომ დრამატული და ზოგჯერ ჰიპერბოლიზებული პასუხები მას კარგად წარმოაჩენდა როგორც უცხოეთში, ასევე საკუთარ ქვეყანაში. რაც შეეხება უცხოეთს, ის აშკარად დარწმუნებულია, რომ მკვეთრი პასუხის შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობა უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს რუსულ ტყუილებს და, შესაბამისად, ამ თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს მეტი მხარდაჭერა ექნება. მისი გათვლით, ქვეყნის შიგნით ყურადღება რუსეთის მოქმედებებზე გადააქვს, რაც მის ოპონენტებს დიდი ხნით დაადუმებს და ეს განამტკიცებს მის ხელისუფლებას.

ორივე შემთხვევაში ის მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. სინამდვილეში, მართლაც ასეა: სააკაშვილის რეაქცია რუსული ბრალდებების მიმართ იმაზე მეტ ყურადღებას იქცევს, ვიდრე თავად რუსეთის განცხადებები.



მაგრამ იმის გამო, რომ ის შეიძლება ბოლომდე ვერ აცნობიერებდეს იმას, რომ სწორედ ეს არის ის, რასაც რუსეთი იმედოვნებს: თუკი ის ასე განაგრძობს, ხოლო სააკაშვილი მას უპასუხებს ისე, როგორც ამას წარსულში აკეთებდა და რუსული არმია არაფერს არ მოიმოქმედებს, სააკაშვილი დასავლეთის თვალში პატარა ბიჭივით გამოჩნდება, რომელიც ძალიან ხშირად გაჰკივის „მგელი, მგელიო“, ხოლო ბოლოს, როდესაც მგელი მართლაც მოვა, მას არავინ დაუჯერებს.

ისიც მართალია, რომ სააკაშვილი არ ცდება, როდესაც დარწმუნებულია, რომ ამ რუსული საფრთხით თამაში მას ოპოზიციის კონტროლის საქმეში ეხმარება, რადგან ოპოზიციის მხოლოდ რამდენიმე წევრი თუ მოისურვებს კრიტიკის ქარცეცხლში მოექცეს, თუკი ეჭვქვეშ დააყენებს მის საქმიანობას.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს ტაქტიკა უმრავლეს შემთხვევაში მუშაობს, მას აქვს ორი კურიოზული ეფექტი. ერთი მხრივ, ეს ქართველების რეალურ გაერთიანებას უშლის ხელს, სააკაშვილი კი ერთობის ყალბ წარმოდგენას ქმნის. მეორე მხრივ ის ძირს უთხრის საქართველოს პოლიტიკურ სისტემას, სწორედ იმ ტიპის დებატების ჩახშობით, რომლებიც დემოკრატიული სისტემის არსს წარმოადგენს.

ამ ზემოთაღნიშნული ფაქტებიდან არც ერთი არ ნიშნავს იმას, რომ ქართველებმა, სააკაშვილიდან დაწყებული, ქართული ოპოზიციის ლიდერებით და ქუჩაში რიგითი მოქალაქეებით დამთავრებული, თავი უნდა აარიდონ რუსულ ტყუილებზე რეაგირებას. პირიქით, ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა მათგანმა უნდა აღიაროს, რომ პასუხის ფორმას უკიდურესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

თუკი ქართველებიდან ერთნი განაგრძობენ გადამეტებულ რეაგირებას, მეორენი კი დუმილს არჩევენ, ისინი „ეფ ეს ბეს“ მიერ დაგებულ ხაფანგში აღმოჩნდებიან – სურთ მათ ამის აღიარება თუ არა, მაგრამ თუკი ისინი აღიარებენ იმ საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც პროვოკაციებმა შეიძლება მათსავე ორგანიზატორების წინააღმდეგ იმუშაოს, მაშინ საქართველო და ქართული დემოკრატია ამით მხოლოდ მოიგებს.

როგორი უნდა იყოს ქართველების პასუხი? არსებობს ბევრი კარგი საშუალება, მაგრამ უმჯობესია სამი გზა, რომლის გამოყენებაც ახლავე შეიძლება.

პირველი, არც ერთი ქართველი არ უნდა დაეხმაროს მოსკოვს საქართველოზე ტყუილების გავრცელებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის საჭირო რუსეთის ყველა მსგავს განცხადებაზე ემოციური პასუხის გაცემა. მაგალითად, თუკი ქართველი ლიდერები იტყვიან, რომ „მოსკოვმა ჩვენს ქვეყანაზე მორიგი ტყუილი გაავრცელა“ და ამით შემოიფარგლებიან, ეს საქართველოსთვის და ქართველებისთვის ბევრად უკეთესი იქნება. ამით მხოლოდ „ეფ ეს ბე“ დაზარალდება, რაც საეჭვოა, რომ ქართველების უმრავლესობას გაანაწყენებს.

მეორე, ქართული ოპოზიციის არც ერთ წევრს არ უნდა შეეშინდეს ისაუბროს როგორც რუსული ბრალდებების აბსურდულობაზე, ისე იმის თაობაზეც, რომ არ ეთანხმება ამ ბრალდებებზე საქართველოს ოფიციალური პირების რეაქციას. თუკი ოპოზიციურ ფიგურებს ამის გაკეთების შეეშინდებათ, ისინი ამით ვერც საკუთარ და ვერც საქართველოს ინტერესებს ვერ მოემსახურებიან; ისინი მოემსახურებიან თბილისში იმათ ინტერესებს, ვისაც არ სურს დემოკრატია, ხოლო რუსეთში მათ, ვინც საქართველოს დამოუკიდებელობას ეწინააღმდეგება.

მესამეც, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამ მიმართულებით რუსების ბრალდებები სულ უფრო მატულობს, ქართველები (ისინი ვინც მთავრობაშია და ისინიც ვინც მის გარეთააძ, უდავოდ მოგებულები დარჩებიან, თუკი შეიქმნება საერთაშორისო კომისია, რომელიც ამ ბრალდებებს შეაფასებს. ასეთი ჯგუფი სიტუაციას – „ამან ის თქვა – იმან ეს თქვას“ მდგომარეობის ჩარჩოებიდან გაიყვანს, რომელშიც საქართველო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აღმოჩნდა და ქართველებს დაეხმარება იმოქმედონ, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ენერგიულმა წევრებმა.

ცხადია, სამთავრობო წრეებში ყოველთვის იარსებებს ცდუნება, რომ ოპონენტები დაადანაშაულონ გარე ძალის მხადაჭერაში, მით უფრო ისეთი ისტორიისა და ადგილმდებარეობის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. მაგრამ ამ ცდუნების წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა, რადგან ამ ბრძოლაზე უარის თქმა რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავს.

**პოლ გოლბი**

RadioFreeEurope RadioLiberty

# საქართველო მათ ფიქრებში

**შოტლანდიის ყველაზე განვითარებულ ურბანულ კვარტალს ძალიან მდიდარი და ყველაზე გავლენიანი ქართველები მოაწყდნენ, ეს ქვეყანა ადრე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა იყო**

ყოველ შემთხვევაში ეს ის ბრალდებაა, რომელიც ამ შფოთიანი კავკასიური ქვეყნის ოპოზიციური ლიდერებისგან ისმის. ისინი საქართველოს წამყვან ფიგურებს ამ რაიონში სახლების შეძენასა და ამ საქმისთვის გადასახადის გადამხდელთა თანხების გამოყენებაში ადანაშაულებენ.

საქართველოს „ლეიბორისტული პარტიის“ გენერალური მდივანი, მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოს“ რამდენიმე მაღალჩინოსანს ადანაშაულებს და მეტი დამაჯერებლობისთვის იმასაც ამბობს, რომ ედინბურგში „ქართული კვარტალი“ არსებობს.

სოსო შატბერაშვილმა ორი ქართველი მაღალჩინოსანი „ნაციონალი“ დაასახელა (მთავრობაში ან მასთან დაახლოებული გაურკვეველი ოდენობის ადამიანებს შორისძ, რომლებმაც ედინბურგის ახალ ქალაქში „მდიდრული კერძო ვილები“ შეიძინეს.

მთავრობა და პარტიული მაღალჩინოსნები კომენტარზე ჯერჯერობით უარს ამბობენ.

ედინბურგის უძრავი ქონების სააგენტოებიც ტრადიციას არ არღვევენ და მხოლოდ ერთადერთი პასუხით შემოიფარგლებიან, რომ ედინბურგში ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებიდან სერიოზული ბიზნეს დაინტერესებაა.

საერთაშორისო სააგენტო Knight Frank-ის წარმომადგენელი ჯონ ქოულმენი ამბობს, რომ მის კომპანიას „უამრავი საქმიანი ურთიერთობა ჰქონია ცალკეულ პირებთან ყოფილი საბჭოთა კავშირიდან“, – მაგრამ ვერ აკონკრეტებს, მათგან რამდენი კლიენტი იყო საქართველოდან.

მისი თქმით – „ჩვენ ვატყობთ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ძალიან ბევრ ადამიანს, ჩვენ მათ ჩვეულებრივად რუსებს ვეძახით, თავდაპირველად სურთ უძრავი ქონების შეძენა ლონდონში ან მის შემოგარენში და შემდეგ იწყებენ ედინბურგში ადგილის ძებნას, ხშირ შემთხვევაში იმიტომ რომ საკუთარი შვილებისთვის მოსწონთ შოტლანდიურ სკოლაში ან უნივერსიტეტში სწავლის იდეა“.

ბოლო თვეებში უძრავი ქონების მაღალი დონის აგენტები იმ ტენდენციაზე საუბრობენ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ჩინეთიდან და ინდოეთიდან ბრიტანეთის ქონებით მაღალი დაინტერესება შეიმჩნევა და სავარაუდოდ იმიტომაც, რომ გირვანქა სტერლინგი დოლართან და ევროსთან შედარებით დასუსტებულია.

ქოულმენის თქმით „რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი ის ადგილებია, საიდანაც დღეს ფული მოდის“.

ამ მხრივ მილიარდერი უცხოელებისთვის შოტლანდიაში კვლავ კარგი პერსპექტივები რჩება. გასულ კვირას Knight Frank-მა განაცხადა, რომ შოტლანდიურ და ინგლისის ჩრდილოეთში არსებულ ქონებაზე ფასები შარშან 11%-ით დაეცა.

მაგრამ ცნობა იმის თაობაზე, რომ შოტლანდიას ქართველი პოლიტიკოსების ტალღა მიაწყდა, სიურპრიზი აღმოჩნდა მაკლარენის კლანის ხელმძღვანელისთვის.

მაკლარენების წარმომადგენელი დონალდ მაკლარენი 2004-2007 წლებში თბილისში ბრიტანეთის ელჩი იყო და ეს ქვეყანა ძალიან უყვარს, თუმცა იგი იხსენებს, რომ ამ წლების განმავლობაში, ხშირად გამხდარა იმის მოწმე, თუ როგორ ხშირად ესროდნენ ტალახს ერთმანეთს ქართველი პოლიტიკოსები.

„ლეიბორისტულ პარტიას“ მსგავსი ბრალდებები ადრეც გაუკეთებია, მაგრამ არ არის გასაკვირი, როდესაც საქართველოში კორუფციაზე ბრალდებები ისმის“, – განაცხადა მან.

სააკაშვილის მმართველობის დროს, საქართველომ ევროპის განაპირას არსებული ისეთი ქვეყნის რეპუტაცია შეიძინა, სადაც ბიზნესის კეთება მარტივია. მსოფლიოს კორუფციის ინდექსში შარშან ქვეყანამ იტალიას და საბერძნეთს შორის 66-ე ადგილი დაიკავა და ბევრად ნაკლებად კორუფციულია, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები.

„ლეიბორისტები“ და „სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი“, საქართველოს მოწესრიგებაში თავდაპირველად მხარს უჭერდა სააკაშვილს, თუმცა მოგვიანებით მკვეთრად გაემიჯნა პრეზიდენტს, რომელსაც ზოგიერთები დასავლეთზე ორიენტირებულ ლიბერალ-რეფორმატორად, სხვები კი აგრესიულ, იმპულსურ ნაციონალისტად ახასიათებენ.

„ლეიბორისტების“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი მოკავშირე, ადრე რუსეთის აგენტობაში დაადანაშაულეს. რუსეთთან სააკაშვილს შარშან ზაფხულში ხანმოკლე ომი ჰქონდა. მოგვიანებით ბრალდებები მოიხსნა, მაგრამ პროსახელისუფლო კომენტატორები მუდმივად იმოწმებენ მისი ან მისი კოლეგების განცხადებებს, როგორც კრემლის პროპაგანდის ნაწილს. იმავდროულად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 2008 წელს დაადგინა რომ „ლეიბორისტების“ უფლებები საქართველოში გამართული არჩევნების დროს დაირღვა.

საქართველოს ოპოზიციური ლიდერები ასევე ცხოვრობდნენ ბრიტანეთში. სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტერი, მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი საცხოვრებლად 10 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასებულ სურეის ვილაში გადასახლდა. 2008 წელს მისი გარდაცვალება ლიტვინენკოს საქმის სტილში განიხილებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ პატარკაციშვილი, რომელიც ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის წინააღმდეგ იბრძოდა, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

THE SCOTSMAN

## დედამიწის ზურგზე



**უკრაინელი მეზღვაურები, რომლებიც გაათავისუფლეს სომალიელი მეკობრეების ტყვეობიდან, სამშობლოში გაფრინდნენ**

გემი „არიანა“ მეკობრეებმა ხელში ჩაიგდეს 2009 წლის 2 მაისს ადენის ყურეში. ეკიპაჟის ყველა 24 წევრი უკრაინის მოქალაქეა. 10 დეკემბერს მეკობრეებმა გემი გაათავისუფლეს. ზოგიერთი მონაცემებით, საბერძნეთის კომპანია-ოპერატორმა გათავისუფლებისთვის გადაიხადა გამოსასყიდი 2,8 მილიონი დოლარის ოდენობით.

**საქართველო რუსულენოვან სატელევიზიო პროექტს იწყებს**

საქართველომ ახალი რუსულენოვანი არხის მაუწყებლობა დაიწყო. კრიტიკოსები ამბობენ, რომ ეს დაძაბულობას, რომელიც ისედაც მაღალი იყო ამ ორ ქვეყანას შორის 2008 წლის ხანმოკლე ომის შემდეგ, კიდევ უფრო გაზრდის. მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით შექმნილი და მთავრობის მიერ დაფინანსებული პირველი „კავკასიური არხის“ მაუწყებლობა საქართველოში და უცხოეთის კიდევ რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, გავრცელდება. მის მოდერატორებს შორის არიან ოლეგ პანფილოვი, მოსკოვის ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი და ალა დუდაევა, ჯოხარ დუდაევის (ჩეჩნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი) ქვრივი.



**რეკორდული ყინვები აიძულებს პეკინს, ეკონომია გააკეთოს საწარმოებისა და მაღაზიების გათბობაზე**

პეკინში დიდი თოვლი მოვიდა და იქ ახლა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი ტემპერატურაა: ცელსიუსით მინუს 16 გრადუსამდე. ხელისუფლებამ პრიორიტეტულად მიიჩნია გაზის მიწოდება საცხოვრებელ სახლებში.

**ახალი ტერორისტული აქტი პაკისტანში: დაიღუპა 3 სამხედრო**

ხელისუფლება არკვევს, აფეთქება მოაწყო თვითმკვლელმა ტერორისტმა, თუ ამოქმედდა დისტანციური მართვის ბომბი. ტერაქტი მოხდა ყაზარმებისა და სამხედრო ჰოსპიტლის მახლობლად.

**პოლონეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან რუსეთელი ჯაშუშის დაკავების შესახებ. იგი ერთი წელია პატიმრობაში იმყოფება**

ვარშავაში რუსი მზვერავის დაკავების შესახებ ინფორმაციას უკვე ერთი წელია საიდუმლოდ ინახავდნენ. რუსეთის სასარგებლოდ შპიონაჟში ბრალდებული პიროვნება ტყვეობაში ჰყავთ თითქმის ერთი წელიწადია. პოლონური გამოცემა არ გამორიცხავს, რომ სწორედ რუსი ჯაშუშის დაკავება პოლონეთში გახდა მთავარი სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელის ვალენტინ კორაბელნიკოვის გადადგომის მიზეზი.



# „გმადლობთ“ ციფრებსა და ფაქტებში

**ფსიქოლოგები დარწმუნებული არიან, რომ მადლიერების სიტყვები — ეს ზეპირი „ხელის გადასმაა“, მათ შეუძლიათ დამშვიდება და დათბობა საკუთარი სითბოთი. 11 იანვარს აღინიშნება „მადლობის“ მსოფლიო დღე. ეს დღესასწაული გაჩნდა გაეროსა და იუნესკოს ინიციატივით.**

მადლიერების გრძნობა წარმოქმნის დადებით ემოციებს, რაც გვეხმარება გავუმკლავდეთ სტრესს.

ბერლინის ქუჩებში მალე გამოჩნდება მოლაპარაკე ურნები, რომლებიც სხვადასხვა ენებზე და სხვადასხვა გამოთქმებში მადლობას გადაუხდიან გამვლელებს იმისთვის, რომ მათში ჩაყარეს ნაგავი.

ყველაზე ხშირად სიტყვას „გმადლობთ“ ამბობენ ნიუ-იორკში, ყველაზე იშვიათად — ბომბეიში. მოსკოვი, მაგალითად, 30-ე ადგილზე აღმოჩნდა ზრდილობიანობის იმ რეიტინგში, სადაც შევიდა 42 დიდი მეგაპოლისი. თბილისი ამ რეიტინგში არ მოხვდა. სიტყვა „გმადლობთ“, ოფიციანტს რომ ეუბნებიან, ზრდის მომსახურების სისწრაფესა და ხარისხს.

მომუშავეთა მხოლოდ 16 პროცენტს მიაჩნია უფროსობის ზეპირი მადლობა თავისთვის მნიშვნელოვნად.

სამხრეთ კორეაში თითქმის არ ამბობენ სიტყვას „გმადლობთ“, რათა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენონ თავაზიანობის გამომხატველი პიროვნება.

## რა გწამს?

**ამერიკელებს** უფრო მეტად სწამთ ღმერთისა და ეშმაკისა, ვიდრე დარვინის თეორიისა, განაცხადეს ჰარისის საკვლევი სამსახურის სპეციალისტებმა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის დროს, რომელიც მოეწყო 2,3 ათასზე მეტ სრულწლოვან ამერიკელთა შორის, აღმოჩნდა, რომ მათგან 82 პროცენტს სწამს ღმერთის.

დაახლოებით 76 პროცენტს სწამს სასწაულების, 75 პროცენტს კი, რომ არსებობს სამოთხე.

ჯოჯოხეთისა და ეშმაკის არსებობაში ეჭვი არ ეპარებათ, შესაბამისად, გამოკითხულთა 61 და 60 პროცენტს. ამავე დროს რესპონდენტების 45 პროცენტმა გა-



ნაცხადა, რომ სწორად მიაჩნიათ ჩარლზ დარვინის „სახეობათა წარმოქმნის“ თეორია.

## შეხვდით ტანსაცმლის შესაბამისად

**ადამიანის** პიროვნული თვისებები შეიძლება განვსაზღვროთ მისი გარეგნობით, თუ შევისწავლით მის როგორც ჩაცმულობას, ისე სახის გამომეტყველებას და პოზას, რომელში ყოფნაც მას მოსწონს, იტყობინებიან ამერიკელი ფსიქოლოგები.

აღმოჩნდა, რომ გარეგნული იერი სავსებით საკმარისია, რომ განსაზღვრო იმ უცნობი ადამიანის 10 განსაკუთრებული თვისება, რომელთა შორისაცაა გულღიაობა, კეთილშობილება, ექსტრავერტულობა, ხათრიანობა და ნევროტიზაცია, აგრეთვე მიმზიდველობა, თვითპატივისცემა, მარტოსულობის ხარისხი, რელიგიურობა და პოლიტიკური ორიენტაცია. თანაც ასეთი ანალიზის სიზუსტე უფრო მაღალია იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი გაცნობა ხდება შემთხვევით და ადამიანი იმყოფება თავისთვის ბუნებრივ პოზაში სახის ჩვეულებრივი გამოსახულებით.



# სახიფათოა ოჯახისთვის!

**ქორწინების სიმყარე დიდადაა დამოკიდებული პარტნიორების პროფესიაზე, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს.**



ადამიანები, ვისი პროფესიაც დაკავშირებულია მედიცინასთან ანდა არის საჯარო და აღსავსე სტრესით, უფრო ხშირად იყრებიან, ვიდრე დანარჩენები. ოჯახისთვის „მავნე“ პროფესიის ათეულში შევიდნენ: მოცეკვავე და ქორეოგრაფი (განქორწინებათა 43 პროცენტიძ, ბარმენი (38,4ძ, მასაჟისტი (38,2ძ, მეოთხე ადგილზე არიან ადამიანები, რომლებიც უვლიან ავადმყოფებს, ეხმარებიან ფსიქიატრიულ ავადმყოფებს და უწევენ დახმარებას ავადმყოფებს ბინაზე (28,9 პროცენტიძ, მეხუთე ადგილი დაიკავეს ესტრადის მსახიობებმა და სპორტსმენებმა (28,49ძ, მეექვსე ადგილზე მოულოდნელად აღმოჩნდნენ მტვირთავები (28,4ძ, მეშვიდეზე — სატელეფონო მარკეტინგის სპეციალისტები (28,1ძ, მერვე ადგილი დაიკავეს ოფიციანტებმა (27,1ძ, მეცხრე — მცურავებმა (26,8ძ, მოახლეებმა და მოსამსახურეებმა, აგრეთვე დამლაგებლებმა (26,38 პროცენტიძ. დაბოლოს, მეათე ადგილზე აღმოჩნდნენ შეფ-მზარეულები.

# ხიზილალა — სუფრაზე



**წითელი ხიზილალა ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში და გვიცავს სიბერისგან, დარწმუნებული არიან ალმერიის (ესპანეთიძ ინსტიტუტის მეცნიერები.**

მათ შეისწავლეს 15 სახეობის თევზის ქვირითი და ხეკის, პინაგორისა და ორაგულის ქვირითში აღმოაჩინეს მეტად სასარგებლო ცხიმოვანი მჟავის ომეგა-3-ის ყველაზე მაღალი შემცველობა. მეცნიერთა აზრით, ქვირითი შეიძლება ვურჩიოთ, როგორც პროდუქტი, რომელიც ხელს უწყობს ქოლესტერინის დონის შემცირებას და რომელსაც აქვს გამოხატული ანტიოქსიდანტური თვისებები. შევიქციოთ თავი და ვისიამოვნოთ ხიზილალით დღესასწაულების დღეებში მაინც.

# როცა ღვინო ტკბილია

**წითელი და ლურჯი ფერები აუმჯობესებენ ღვინის გემოვნებითს თვისებებს, გამოარკვია ექიმ-ფსიქოლოგების საერთაშორისო ჯგუფმა.** წითელი განათების დროს რისლინგი ერთნახევარჯერ ტკბილი გვეჩვენება, ვიდრე თეთრი ან მწვანე ფერის სხივებში. წითელი და ცისფერი გაშუქება ექსპერიმენტის მონაწილეებში იწვევდა სურვილს მეტი გადაეხადათ სასმელისთვის. მკვლევართა აზრით, ამ ეფექტს უკვე აქტიურად იყენებენ მთელი რიგი ბარების პატრონები, რომლებიც აიძულებენ კლიენტებს იაფ სასმელში ბევრი ფული გადაიხადონ.



## თიხა და წაბლი ნარკოზის წინააღმდეგ



**აიღეთ** 1 სუფრის კოვზი ცხენის წაბლის ყვავილი და დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ დაახლოებით 10-15 წუთი. შემდეგ ნაყენი გაწურეთ და შეურიეთ თიხას ისე, რომ მიიღოთ არაჟნის კონსისტენციის მასა. მიღებული მასის სჭირო ოდენობა 1-1,5 სანტიმეტრის თანაბარ ფენად წაუსვით ბინტს. ეს კომპრესი დაიდეთ პრობლემურ ადგილზე, ზევიდან შემოიხვიეთ პოლიეთილენი და გარედან თბილი შარფი. ასე იქონიეთ 30 წუთის განმავლობაში.

## საცხი ოსტეოხონდროზის სამკურნალოდ

**ყავის** საფქვავში დაფქვით 1 სუფრის კოვზი სვიის გირჩა. დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი კარაქი, დარიჩინი დანის წვერზე და საგულდაგულოდ აურიეთ. მიღებული საცხი დაიდეთ პრობლემურ ადგილზე, ზევიდან დაადეთ პოლიეთილენი და შეიხვიეთ შალის ნაჭრით. მაგრამ გახსოვდეთ, რომ სვიის გირჩას ხშირად აქვს ალერგიული რეაქცია. ამიტომ სანამ საცხს წაისვამდეთ სხეულზე, გამოსცადეთ იგი, მაგალითად, მაჯაზე.

## დამტენიანებელი ნიღაბი

**ათქვიფეთ** კვერცხის გული 1 სუფრის კოვზ რძესა და ზეითუნის ზეთში. თუ ძალიან თხელი გამოვიდა, დაუმატეთ ყავის საფქვავში გატარებული ან ჩვეულებრივ როდინში დანაყილი 1 სუფრის კოვზი შვრიის ფანტელი. როცა მასა შესქელდება, წაისვით იგი გაწმენდილ ადგილზე 15 წუთით. შეშრობის შემდეგ ნიღაბი ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

## თუ საღამოსთვის ფეხები გიელავთ

**1 ლიტრ** წყალს დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი. ამ ხსნარში დაასველეთ პირსახოცი და დაიზილეთ ფეხები. შემდეგ მშრალი პირსახოცით კარგად შეიმშრალეთ კანი მსუბუქი მასაჟის სახით. პროცედურა გაიმეორეთ 2-3-ჯერ ზედიზედ. ეს საუცხოო საშუალებაა, რომელიც ხსნის დაღლილობას.

## ნიღბები თმისა და თავის კანისთვის

**ჭიქის** მესამედს დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი კაკაო, 2 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი და 10 მილილიტრი კონიაკი. კარგად აურიეთ. ეს მასა შეიზილეთ თმის ძირებში, თავზე პოლიეთილენი წამოიხურეთ და ზევიდან პირსახოცი გადაიფარეთ. ეს მასა უნდა დავიდოთ სუფთა თმაზე 20-25 წუთის განმავლობაში. შემდეგ თავი უნდა დავიბანოთ თბილი წყლით.

## იქნიე ხელები და იფრინე!

**რატომ** იქნევენ ადამიანები ხელებს სიარულის დროს, ეს გამოიკვლია ბიომექანიკის სპეციალისტმა დელფტის (ნიდერლანდი) უნივერსიტეტიდან სტივ კოლინსმა.

ის სწავლობდა სარბენ ბილიკზე მოვარჯიშე მოხალისეთა სიარულს. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვისაც ვარჯიშის დროს ხელები გვერდებზე ჰქონდათ მიჭერილი, ხარჯავდნენ ენერგიის 12 პროცენტზე მეტს. ისინი კი, ვინც ფიტნესს მისდევს, ხელების ქნევით ზოგავენ ძალას, ხოლო მათ, ვისაც წონის დაკლება სურს, მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ვარჯიშებს შებორკილი ხელებით.

## დაფნის ნაყენი ზურგის ტკივილის დროს



**აადუღეთ** 300 მილილიტრი წყალი, ჩაყარეთ 10-12 დაფნის ფოთოლი და ადუღეთ 30 წუთის განმავლობაში. მომზადებული ნაყენი მიიღეთ დილით უზმოზე, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მკურნალობის კურსი — 5 დღეა.

## ვმკურნალობთ გასტრიტს

**აიღეთ** 1,5 კილოგრამი ყურძენი, დაწურეთ და გადაიტანეთ სამლიტრიან ქილაში. დაუმატეთ 1,5 ლიტრი წყალი და 200 გრამი შაქარი. ქილას თავზე შემოახვიეთ რამდენიმე ფენად დაკეცილი მარლა. დადგით ბნელ ადგილას დასადუღებლად 3 თვის განმავლობაში. სამი თვის შემდეგ ყურძნის ძმარი მზად იქნება. გაწურეთ, ჩაასხით ბოთლებში და დაახურეთ რკინის ხუფები. სვით ყოველდღე ორი კვირის განმავლობაში ჭიქა წყალში გახსნილი თითო სუფრის კოვზი. პირველად საუზმის შემდეგ, მეორედ — მსუბუქი ვახშმის შემდეგ, მესამედ — დაწოლის წინ. ყურძენი შესანიშნავი შარდმდენი და კუჭის მოქმედების ხელშემწყობი საშუალებაა. იგი სასარგებლოა აგრეთვე სისუსტის დროს და ამცირებს ქოლესტერინს.

## ბუნებით ცუდი მძღოლები

**ცუდი** მძღოლის გენი აღმოაჩინეს ამერიკელმა ნეიროფიზიოლოგებმა. მათი მონაცემებით, ამერიკელთა 30 პროცენტს აქვს „ბედეენეფის“ გენის განსაკუთრებული ვარიანტი, რომელიც პასუხისმგებელია ხსოვნისა და კავშირის შენარჩუნებაზე ტვინის უჯრედებს შორის. „ამ გენის ცუდი ვარიანტის მფლობელებს დარღვეული აქვთ შეძენილ ჩვევათა შენარჩუნება, ამიტომ ისინი ცუდი მძღოლები ხდებიან“, — მიაჩნიათ მეცნიერებს. „ბედეენეფს“ შეუძლია გაზარდოს ავარიულობა 20 პროცენტით.

# ცუდი ყოფაქცევა აუარესებს მოსწრებას

**მტრული ვითარება სკოლაში ამცირებს წარმატებულობას, ამტკიცებენ ამერიკელი ფსიქოლოგები. დაშინება და სიტყვიერი შეურაცხყოფა ახდენენ უფრო უარეს ზეგავლენას, ვიდრე ფიზიკური ზემოქმედება.**

ილინოისის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა მოაწყვეს ამერიკის 659 სასწავლებლის ზედა კლასების 10 ათასზე მეტი მოსწავლის გამოკითხვა. დაბალია იმ მოსწავლეთა წილი, ვისაც თავი უსაფრთხოდ მიაჩნია. მოზარდთა დაახლოებით 70 პროცენტმა განაცხადა, რომ განიცდიან სირთულეებს მასალის ათვისებაში თანაკლასელთა ფსიქოლოგიური ზეგავლენის გამო — როგორც მეცადინეობის დროს, ისე მის შემდეგ. ყოველმა მეხუთე მოსწავლემ განაცხადა, რომ უფრო იტანჯება უფროსი მოსწავლეების ფსიქოლოგიური დაცინვის გამო. აღმოჩნდა, რომ ფსიქოლოგიური დამცირება ყველაზე ხშირად გვხვდება პატარა, კერძო, რამაც მკვლევარები ყველაზე მეტად გააოცა, მდიდარ სკოლებში.

ბიჭები განიცდიან ფსიქოლოგიურ მოწამლვას გოგონებზე უფრო ხშირად, განსაკუთრებით როცა კერძო სკოლებში სწავლობენ. ხშირად მთავარ დამნაშავეებად აღმოჩნდებიან ხოლმე კარგი მოსწავლეები. ჩვეულებრივად სხვებს ამცირებენ ის მოზარდები, რომლებსაც არ გააჩნიათ წარმატებული სწავლების ჩვევები, ან ისინი, ვისაც არ უნდა სწავლა, მიაჩნიათ ფსიქოლოგებს.



ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე



**მაშინ, როცა ქრისტიანული სამყარო შობა-ახალ წელს ზეიმობს და ძველ კონტინენტზეც კარგა გვარიანად ზარდნის, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში სისხლსავსე საფეხბურთო ცხოვრება ჩქეფს.**

**ესპანეთი.** მსოფლიოს უძლიერესმა კლუბმა „ბარსელონამ“ შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ, ეტყობა, ერთგვარი ტაიმ-აუტი აიღო. სხვაგვარად ძნელია, შევაფასოთ კატალონიური გრანდის უკანასკნელი შედეგები. კერძოდ, პრიმერადივიზიონში საკუთარ „კამპ ნოუზე“ დაკარგული პირველი ქულების – 1:1 „ვილიარეალთან“ შემდეგ (მანამდე ხოსეპ გვარდიოლას გუნდს შვიდივე მატჩი მოგებული ჰქონდაძ „ბროწეულისფერება“ ასევე შინ „სამეფო თასის“ გათამაშების შეხვედრა „სევილიასთან“ დათმო – 1:2. სხვათა შორის, აღნიშნული მეტოქენი მალე საჩემპიონატო და საპასუხო სათასო ბრძოლებს გამართავენ.

**ინგლისი.** „დიდი ოთხეულის“ წევრთაგან „ჩელსი“ ერთადერთი გუნდია, რომელმაც ახალი სეზონი ღირსეული გამარჯვებით დაიწყო. „არისტოკრატებმა“ ასოციაციის თასის გათამაშებაში „უოტფორდი“ იმსხვერპლეს – 5:0. კიდევ ერთმა ფავორიტმა „არსენალმა“ მხოლოდ ბოლო წუთებზე მოახერხა ლონდონური დერბის მოგება „ვესტ ჰემთან“ – 2:1. კვლავ გააწბილა მრავალრიცხოვანი ქომაგები „ლივერპულმა“ – 1:1 „რედინგთან“. კიდევ უფრო დიდი სენსაცია გამოაცხო „მანჩესტერმა“ – 0:1 „ლიდსთან“.

ჰოკეი

# ამერიკის სახელით



**კანადის ახალგაზრდული ნაკრები ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მეცხრედ (!ძ გავიდა 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და მეხუთედ დამარცხდა, ამჯერად ამერიკელებთან დამატებით დროში – 5:6 (ძირითადი დრო – 5:5ძ.**

ჰოკეის სამშობლოს წარმომადგენელთა იმედგაცრუებას განსაკუთრებით ის ფაქტი ამძაფრებს, რომ აღნიშნული ფორუმი სწორედ „ნეკერჩხლის ფოთლების“ სარბიელზე გაიმართა.

უკვე გაუწყეთ, რომ უდიდესი სენსაცია შვეიცარიელებმა შემოგვთავაზეს, რომლებმაც მეოთხედფინალში რუსებს დააყრევინეს ფარ-ხმალი. ეტყობა, ამ „ძლევაი საკვირველმა“ ალპური სახელმწიფოს ქვეშევრდომებს უკანასკნელი ძალები დაახარჯვინა – ისინი ჯერ ნახევარფინალში შერცხვნენ მასპინძლებთან – 1:6, ხოლო შემდეგ მესამე ადგილისთვის შვედებთან მოწყობილ დუელში – 4:11.

რეტრო

**ყვავილებითა და ტრანსპარანტებით მორთულმა თბილისი-მოსკოვის მატარებელმა სამდღიანი რბოლა კურსკის სადგურში დაასრულა. რკინიგზის ბაქანზე ჟღერს მუსიკა, ისევ ყვავილები, მხიარული შეძახილები – ფრანგულ, რუსულ, ბერძნულ, იტალიურ ენებზე.** მსოფლიოს სტუდენტი ახალგაზრდობის VI ფესტივალის მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებს, რომლის შემადგენლობაშიც მრავლად არიან მოცეკვავეები, მუსიკოსები, ხელოვნების სხვა დარგების მუშაკები, ცნობილი და ახლადდამწყები სპორტსმენები. მათ რიგებშია მხარბეჭიანი ბათუმელი გოლიათი როსტომ აბაშიძე. უცნობმა ქალიშვილმა თვალი შეავლო მის „რკინის მკლავებს“ და ყვავილებისგან დაწნული თაიგული ჩამოჰკიდა კისერზე.

## რეკორდსმენი როსტომ აბაშიძე



მსოფლიოს სტუდენტი ახალგაზრდობის ფესტივალის პარალელურად, მიმდინარეობდა III სპორტული თამაშები, რომლის პროგრამაშიც კლასიკური ჭიდაობაც იყო შეტანილი. მაშინდელი საბჭოთა კავშირის ნაკრების სპორტულ ღირსებას, სხვებთან ერთად, ბათუმელი როსტომ აბაშიძეც იცავდა. ეს იყო მისი დებიუტი დიდ სარბიელზე, ამიტომაც ღელავდა, არ უნდოდა, ნდობა გაექარწყლებინა. როსტომმა ჩინებულად დაიწყო ქვემძიმეწონოსანთა შეჯიბრება და ორ საკმაოდ ძლიერ მეტოქეს მოუგო. მესამე და მეოთხე წრეებში ზედიზედ დაამარცხა ფინელი და ავსტრიელი სტუდენტი ფალავნები. განსაკუთრებით ძნელი შეხვედრა ჰქონდა შეჯიბრების მესამე დღეს გამოცდილ ბულგარელ მეტოქე ბიმბალოვთან. ბულგარელი ფრთხილობდა და აქტიურ ჭიდაობას გაურბოდა. როცა ორთაბრძოლის დასრულებას წამები აკლდა, ქართველმა გოლიათმა შეძლო ჩოქბჯენში გადაეყვანა იგი და სასურველი გამარჯვება მას მიეკუთვნა. როსტომ აბაშიძე ფინალში გავიდა. მალე გამოირკვა ოქროს მედლის მეორე პრეტენდენტი. იგი რუმინელი მოჭიდავე დრაგან პოპოვიჩი გახლდათ, რომელმაც ყველა შერკინება თავის სასარგებლოდ დაასრულა. სწორედ ამ სწორუპოვარ ფალავანთა გადამწყვეტ შეხვედრას უნდა გამოევლინა სტუდენტთა მსოფლიოს VI ფესტივალის III სპორტული თამაშების ჩემპიონი ქვემძიმე წონით კატეგორიაში. ფინალურ ასპარეზობას ქართველი სტუდენტი მოუთმენლად მოელოდა, მაგრამ შეხვედრის წინა დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, აბაშიძე ავად გახდა. ექიმებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს საბრძოლო ფორმაში ჩაეყენებინათ იგი, კიდევ მეტიც, მაღალი ტემპერატურის გამო საერთოდ აუკრძალეს ქართველ ფალავანს ხალიჩაზე გასვლა, მაგრამ ასე როდი ფიქრობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, რომელიც დიდი საერთაშორისო აღიარების ზღურბლთან იდგა. როდესაც მსაჯებმა როსტომის გვარი გამოაცხადეს, იგი ხალიჩის კუთხეში დადგა. წითელი მაისურის ქვემოდან მან ცხვირსახოცი ამოაცურა და სახეზეოფლი შეიმშრალა, რადგან ტანი უხურდა. ქართველი ფალავნის ტემპერატურა 39 გრადუსს აღწევდა. ხალიჩის მეორე კუთხეში განცვიფრებული რუმინელი მოჭიდავე პოპოვიჩი იდგა. მან ჩინებულად იცოდა, რომ მის მოწინააღმდეგეს დიდი სიცხე ჰქონდა და ადვილი გამარჯვების მოლოდინში ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. როგორც კი ხალიჩის მსაჯმა სასტვენი მისცა, აბაშიძე მყისვე გაემართა მეტოქისკენ, ილლიებს ქვეშ შეუვარდა პოპოვიჩს და უკუგდებითი ილეთით წმინდად დაამარცხა! ყოველივე ეს 30 წამში მოხდა. როსტომ აბაშიძე თანაგუნდელებმა ხელში აიტაცეს, სასწრაფო დახმარების მანქანაში მოათავსეს და საავადმყოფოსკენ გააქროლეს.

საზეიმო ცერემონიალისა და დაჯილდოების დღეს გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ქვემძიმე წონის კატეგორიის მოჭიდავეთაგან ავიდნენ ბულგარელი ბიმბალოვი და რუმინელი პოპოვიჩი, რომლებმაც II და III საპრიზო ადგილები დაიკავეს.

– ამ წონითი კატეგორიის ჩემპიონი როსტომ აბაშიძე ახლა საავადმყოფოში იმყოფება, – გამოაცხადა რადიომ. დარბაზში მაყურებელთა ხანგრძლივი ტაში გაისმა, რაც ჩვენი თანამემამულის სპორტული გმირობით გამოწვეული აღფრთოვანების ერთგვარი დადასტურებაც იყო. ერთმა ენამოსწრებულმა ჟურნალისტმა შენიშნა: – „აბაშიძეს სიცხე რომ 40 გრადუსი ჰქონოდა, ამდენივე წამში მოიპოვებდა ჩემპიონობას, მაგრამ მან თავისი მეტოქე 30 წამში გააკრა ბეჭებით ხალიჩას, რაც არა მარტო რეკორდი, არამედ ნამდვილი ვაჟკაცის საქციელი იყო“. მეორე დღეს სიცხისგან გათანგულმა ფალავანმა თვალები გაახილა, მის საწოლს მომღიმარ დასტაქართა ჯგუფი შემოხვეოდა.

ჭროლათვალება პალატის ექიმს ნინა პავლოვნას ხელში ვეება ოქროს მედალი ეჭირა. იგი დაიხარა, ლოგინის გვერდზელარნაკში ყვავილები ჩაუწყო და ოთახში ავადმყოფებისა და ექიმების მწყობრი ტაშისცემა გაისმა, მწოლიარე აბაშიძე ულვაშებში იღიმებოდა, მარჯვენა ხელში ოქროს მედალი ეჭირა, დაჟინებით დასცქეროდა თავის პირველ სპორტულ ნადავლს, რომელიც მან ასეთ უთანასწორო პაექრობაში მოიპოვა. იმ წლებში როსტომ აბაშიძის მიერ 30 წამში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება მართლაც სარეკორდო გახლდათ და ქართველმა ჟურნალისტებმა მას სარეკორდო შეარქვეს. რაც შეეხება თვით 74 წელს მიტანებულ თმაშევერცხლილ ქართველ ფალავანს, იგი სიამოვნებით იგონებს 1957 წელს მოპოვებულ ამ ბრწყინვალე გამარჯვებას. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი როსტომ აბაშიძე მაგალითია დამწყები სპორტსმენებისთვის. გვინდა, დიდხანს სიცოცხლე და დღეგრძელობა ვუსურვოთ ამ ლეგენდარულ ქართველ ფალავანს.

**შალვა ქირია,**
**საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, სპორტული ჟურნალისტი.**

ინტერნეტიდან

## ბექჰემი დაიწუნეს

**მისი გულშემატკივრები უნდა დავამშვიდოთ, რომ ის დაიწუნეს არა როგორც ფეხბურთელი, არამედ – როგორც მსახიობი. 2010 წლის დასაწყისში მას სრულიად სერიოზულად აუწყეს, რომ იგი „საკმარისად ცნობილი არ იყო“.**



ვისთვის? თურმე ანიმაციური სერიალის „სიმპსონების“ შემქმნელი ელ ჟანისთვის. ბექჰემს სწორედ ამ სერიალში უნდოდა გაელვება სტუმრის როლში, მაგრამ უარი მიიღო.

„მე ძალზე მერიდება, რომ უარს ვეუბნები დევიდს, – თითქოს მოიბოდიშა ელ ჟანმა, – მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. ჩვენ არ გვეჩვენება, რომ ბექჰემი საკმაოდ ცნობილია ამერიკაში. ამერიკელები მას ცუდად იცნობენ“.

ახლა მთავარი ისაა, რომ ვიქტორიამ და მისმა სამმა ვაჟიშვილმა ძალზე არ განიცადონ ეს უარი. ბოლოს და ბოლოს დევიდს ხომ ისევ იღებენ „პეპსის“ რეკლამაში და კვლავ დიდ ფეხბურთელად მიაჩნიათ!

## რჩეულთა შორის რჩეულნი

**საახალწლოდ სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციამ (AIPSძ შეაჯამა წლის შედეგები, დასახელდა წლის რჩეულნი.** ზედიზედ მეორედ პირველ სპორტსმენებად დაასახელეს ჭოკით მხტომელი **ელენა ისინბაევა** და სპრინტერი **უსეინ ბოლტი**. გამოკითხვაში მონაწილეობდა 98 ქვეყნის 900-ზე მეტი ჟურნალისტი. AIPS-ის ვერსიით **ელენა ისინბაევა** წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს 2006 და 2008 წელს. ამჯერად გამოკითხვაში მონაწილე ჟურნალისტებიდან ყოველმა მეხუთემ ისინბაევას მისცა ხმა, რითაც მან 1090 ქულა დააგროვა. საუკეთესო სპორტსმენი ქალების პირველ ხუთეულში შევიდნენ აგრეთვე: სიმაღლეზე მხტომელი ხორვატი **ბლანკა ვლასიჩი** (899 ქულაძ, ამერიკელი ჩოგბურთელი **სერენა უილიამსი** (617ძ, იტალიელი მოცურავე **ფედერიკა პელეგრინი** (606ძ და ჩოგბურთში დაბრუნებული ბელგიელი **კიმ კლისტერსი** (517ძ.

სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს უსეინ ბოლტს ხმა მისცა გამოკითხვაში მონაწილე ყოველმა მესამე ჟურნალისტმა (1866 ქულაძ, საუკეთესოთა ხუთეულში ასევე მოხვდნენ: „ბარსელონას“ არგენტინელი ფეხბურთელი **ლეონელ მესი** (885 ქულაძ, შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** (723ძ, იტალიელი მოტომრბოლელი **ვალენტინო როსი** (301ძ და ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი** (251 ქულაძ.

## სოფის საშობაო საჩუქარი

**ინგლისური „ლივერპულის“ ლამაზმანმა ქომაგმა, პოპულარული რეალიტ-შოუს „დიდი ძმის“ ვარსკვლავმა, მოდელმა სოფი რიდმა ფეხბურთის გულშემატკივრები და თავისი თაყვანისმცემლები საშობაოდ ძალზე პიკანტური ფოტოსესიით გაახარა – 2010 წლის ულამაზესი კალენდრით.**

ტრადიციულად მას არ დაუფარავს თავისი მთავარი სიმდიდრე და სიამაყე – დიდი და მიმზიდველი მკერდი. დიახ, ლამაზმანი სწორედ მკერდით ამაყობს.



„საახალწლო დღეებში ჩემ თავს უნდა ვუსურვო მთავარი – დაე, ჩემი მკერდი ისეთივე ლამაზი დარჩეს, – თქვა ლამაზმანმა, – კარგი იქნება ის, თუ ცოტა გაიზრდება. ჯერჯერობით ის ცოტა პატარა მეჩვენება“.

⊙ შობის წინ

# ხელოვნების დღე რედაქციაში

## ახალი წლის ახალი იდეა

**ალილო არა, მაგრამ კლასიკური მუსიკის ულამაზესი ჰანგები აჟღერდა ჩვენს რედაქციაში გუშინ, შობის წინა დღეს.**

**„საქართველოს რესპუბლიკას“ გიტარისტი გვანეტა ბეთანელი ესტუმრა, რომელმაც ჩვენთვის რამდენიმე საკონცერტო ნომერი შეასრულა: ალბენისის „ტანგო“ და „გრანადა“, მუსორგსკის „ძველი ციხე-კოშკი“, რამირესის „ალფონსინა და ზღვა“... განსაკუთრებით ვირტუოზულად შეასრულა ბარიოს — მანგორეს ნაწარმოები.**



გვანეტა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის IV კურსის სტუდენტია, რომელიც შალვა მაცხონაშვილის კლასში სწავლობს. 19 წლის გიტარისტს უკვე გამოშვებული აქვს 8 მუსიკალური დისკი, გამართული აქვს კონცერტები როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო საღამოებში.

გიტარისტი პრეზიდენტის სტიპენდიატია, მან მასტერკლასი გაიარა ცნობილ გიტარისტებთან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

გვანეტას არამარტო საქართველოში უსმენენ და აღიარებენ, მან მოწვევა მიიღო ბერლინის მუსიკის აკადემიიდან, სადაც, სავარაუდოდ, მაგისტრატურაში გააგრძელებს სწავლას. წინასაახალწლოდ გვანეტა ბეთანელის კონსერვატორიაში გამართულ კონცერტზე უკვე წერდა ჩვენი გაზეთი. საღამო წარმატებით დასრულდა, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან მას გიტარასთან ურთიერთობის 16 წელი აკავშირებს. სულ სამი წლისა იყო, როცა ინსტრუმენტი აიღო ხელში და მონადინებით დაიწყო დაკვრა!..

**ამიერიდან ყოველი ოთხშაბათი რედაქციაში ხელოვნების საათს დაეთმობა. ადრინდელი ტრადიციისამებრ მოვიწვევთ ახალი თუ ძველი თაობის კულტურის გამოჩენილ ადამიანებს, ვისაუბრებთ ხელოვნებაზე, ამასთანავე, ხელს შევუწყობთ ხელოვნების მსახურთა პოპულარიზაციას და შევახსენებთ ჩვენს მკითხველს, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველთვის მათ გვერდით დგას...**

**ნია ფიფია**

**მურად ალაშვილის ფოტო.**

⊙ გამოიცა

# სად არის სამყაროს კარიბჭე?

**ახლახან გამომცემლობა „უნივერსალმა“ დაბეჭდა პროფესორ კლიმენტი შელიას ნაშრომი „კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება“. ისიც და ბატონი კლიმენტის მეორე სქელტანიანი წიგნიც — „კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე“ — თბილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება.**




**კოოპერატივი „გორის სამომხმარებლო კოოპერატივის“ მეპაიეთა საერთო კრების მოწვევის შესახებ**

**კოოპერატივი „გორის სამომხმარებლო კოოპერატივის“ გამგეობის 2010 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით, „გორის სამომხმარებლო კოოპერატივის“ მეპაიეებს გიწვევთ კოოპერატივის საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2010 წლის 28 იანვარს 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, გარსევანიშვილის ქ. №1.**

**დღის წესრიგი:**

1. კოოპერატივის 2009 წლის 28 დეკემბრის საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების (დამატებითი შენატანის შეტანის ვალდებულების დაკისრება) აღსრულების შედეგების შემოწმება;
2. სხვა საკითხები.

მეპაიეებს შეუძლიათ დღის წესრიგში დამატებების შეტანა კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების ფორმით, რომელიც გამგეობას უნდა გაეგზავნოს შემდეგ მისამართზე — ქ. გორი, გარსევანიშვილის ქ. №1.

**კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე**
**ნ. ქობლიანიძე**

⊙ განსჯა

**მსოფლიოს თვალში და დარჩენილი საქართველოსიც — ახალი წელი პირველ იანვარს 2010 ნომრით შემობრძანდა; ოღონდ საქართველოდან რაც დარჩა, იქ ხომ არაერთი ნაცმოელიც შედის, ისეთი, რომლის ნება რომ იყოს, ახალი 7 წელი დადგაო, გამოაცხადებს, 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ ათვლით...**

დიახ, შევარდნების რევოლუციონერთა იდეოლოგია არცთუ იშვიათად იქამდეც მიდის, რომ როგორც 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ერა მსოფლიოს ისტორიაში, ისე 2003 წლის პატარა ნოემბრის „ვარდების რევოლუციამ“ ჩაუყარა საფუძველი ახალ წელთაღრიცხვას საქართველოს ისტორიაშიც; მანამდე რაც იყო, ამ ვარდოსან, უფრო სწორად კი შევარდნოსან იდეოლოგთა თვალსაზრისით, არცრა იყო და არც არაფერი (შევარდნებს რაც შეეხება, ასეთი აქციების გრძელ, კარგად ცნობილ ტრაგიკულ ნუსხას სულ ახლახან ქუთაისში დიდების მემორიალზე „შევარდნაც“ დაემატა...ძ.

## ფრთხილად ისტორიასთან, საზოგადოებრივ მეხსიერებასთანაც!..

ასე რომ, ნუ გაგვიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ ან მოქუფრულ დღეს ამგვარი იდეოლოგები — გიგა ბოკერია იქნება, ლევან რამიშვილი, თეა თუთბერიძე ან სხვა „როკო და მისი ძმები“ (და დებიძ, თუ გამოგვიცხადებენ: ახალწლობა წელიწადში ორჯერ უნდა აღინიშნოს — პირველ იანვარსა და 24 ნოემბერსო; მიაღებინებენ კიდევაც კანონად ჩვენს თვინიერ, მორჩილ, „დაქვემდებარებულ“ პარლამენტს.

ბოლო ხანს, ჩემი შეხედულებით, ერთ-ერთი ყველაზე გულსატკენი კი არა, საწყენი გახდა მმართველი კლას-პარტიის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომთან, როგორც ისტორიულ ფენომენთან; თურმე ეს არ იყო საქართველოს, ქართველების ომი; კი, „ქართველი მეომრები წარმატებით იბრძოდნენ სხვადასხვა ომში. ჩვენები იბრძოდნენ ყველგან და, სამწუხაროდ, ხშირად არა თავიანთი ქვეყნისათვის“; როგორ ფიქრობთ, ვის ეკუთვნის წინწკლებიანი ციტატა? არც მეტს, არც ნაკლებს — საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს („სრ“, 29.XII.09 წ., პუბლიკაცია „სააკაშვილმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რატომ აიღო დიდების მემორიალი“ძ.

თქვე კაი მამა-პაპის შვილებო, შვილიშვილებო და შვილთაშვილებო (ალბათ, გასაგებია, ვისაც მივმართავძ, იმ დიდ სამამულო ომში (კაი, იყოს მეორე მსოფლიო ომიძ ან პაპა-ბაბუები, ან იმათი მამები, ან სხვაგვარი თქვენი ახლობლები არ მონაწილეობდნენ, არ იბრძოდნენ, არ იჭრებოდნენ, არ სახიჩრდებოდნენ, არ ხეიბრდებოდნენ, არ იღუპებოდნენ? ასე მოკვეთა, ამოხევა, ამოჭრა საკუთარი ახლო ისტორიის ფურცლებისა შეიძლება? სად არის თქვენი შეგნება, პასუხისმგებლობა, აზროვნებითი კულტურა, ეს არის თქვენი საზღვარგარეთული განათლება, უცხო ენებზე აბუბლბულება?..

ვინ — ვინ, ვინ — ვის და მე ხომ კარგად ვიცნობდი კარგ მათემატიკოსსა და ყოვლად ღირებულ კაცს გოგი ალექსანდრიას, რომელიც დიდი სამამულო ომის ფრონტიდან უმარჯვენახელოდ და მკერდზე მთავრობისჯილდოებიანი დაბრუნდა; გოგი ალექსანდრიას, ერთადერთი ქალიშვილის, ჩვენი საამაყო მოჭადრაკის, მსოფლიოს რამდენიმეგზის ვიცე-ჩემპიონის, დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას მამასა და აწ ნაკლებ სახელოვნებით ცნობილ ერთადერთი შვილიშვილის გიგა ბოკერიას პაპას, გინდ ბაბუას, პატარა გიგას რომ მარცხენა ხელით ასე ხშირად დაასეირნებდა; ჰოდა, ჰკითხოს გაზრდილმა გიგამ, ნაცმოელთა ერთ-ერთმა აღიარებულმა იდეოლოგმა ბატონი გოგის კურთხეულ სულს — მართლა სხვის ომში იბრძოდა, სხვის ომში დაკარგა პატიოსანი მარჯვენა?..

გული როცა არ გულობს და ჭკუა როცა არ ჭკუობს, გამართლება ყველაფრისა შეიძლება და აკი „დაგვისაბუთეს“ კიდეც ქუთაისში „დიდების მემორიალის“ აფეთქება — „სხვის ომში“ დაღუპულთა ხსოვნისა იყოო...

იმავე ციტირებულ პუბლიკაციაში კიდევ ერთ გასაკვირველ „პასაჟს“ ვხვდებით, მიხეილ სააკაშვილის ენაპირით გამოთქმულს: სამართლიანად შენიშნავს რა, რომ მოსკოვში არცვის გაუპროტესტებია აფხაზეთში იმ დასახლებული პუნქტის სახელის გამოცვლა, რომელიც გენერალ ლესელიძის პატივსაცემად ერქვა, სახელგანთქმული მხედართმთავრის... სახელგანსმენილ მხედართუფროსს **მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ერთადერთ ქართველ გენერლად მოიხსენიებს!** ამის დახეთქებას მოხერხება არ უნდა? ჩემი მძიმე, ომსდამთხვეული ბავშვობის წლებიდან მახსოვს ასევე სახელოვანი გენერლების ჩანჩიბაძის, თავართქილაძის, სხვათა გვარები, მახსოვს და პატივგებით ვინახავ მეხსიერებაში. კარგი, ვთქვათ ბატონ პრეზიდენტს თავართქილაძე თუ ჩანჩიბაძე არ გაუგონია — სტალინი და ბერია ხომ „უპრობლემოდ“ გაუგონია, რა ისინი ქართველები არ იყვნენ და მეორე მსოფლიო ომში გენერლებზე მეტი არ იყვნენ — ერთი გენერალისიმუსი, მეორე საბჭოთა კავშირის მარშალი? ესაა ქართულ-უკრაინულ-ამერიკული განათლება და ესაა ისტორიკოსი პროფესორი დედის შვილობა? ამდენი მრჩეველი რომ ჰყავს, სათქმელს არავის არ უთანხმებს?..

ბატონო ძლიერნო ამა გასაცოდავებული ქვეყნისა, გაუბედურებულისა, მაგრამ თურმე მაინც მსოფლიოში ამდენი ყველაზე უკეთესი რამის მქონისა (პრეზიდენტის შეტყობინებითძ — ცოტა მეტი პასუხისმგებლობით, შეგნებით, გაცნობიერებით, გონივრულობით, სიფაქიზით მოეპყარით საკუთარ ისტორიას, საზოგადოებრივ თუ ეროვნულ მეხსიერებას — ხსოვნას და ეს ძეგლებთან დამოკიდებულებითაც გამოხატეთ, თორემ ისტორიასაც აქვს თავისი სანაგვე ბუნკერები...

**თამაზ ებანოიძე**

**განცხადება**

**სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველი აცხადებს, რომ 2010 წლის 6 იანვარს სს „თბილსრესის“ სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით დანიშნული მეორე აუქციონი არ შედგა დაინტერესებული პირების არ არსებობის გამო.**

**დავით ჩაჩხიანი**



**მეუღლე ლია მაისურაძე, შვილები ლევან, ქეთინო, და ციცო, ძმა ნიკო ლეკიშვილები, რძლები თეონა თავაძე, მელანო ტორონჯაძე, მარი კახიანი, ანი ბენდიანაშვილი, ნანა რამიშვილი, სიძე თემო თავართქილაძე, შვილიშვილები გაგა, კახა გადაბაძეები, ლიკა, ნინო ლეკიშვილები, შვილთაშვილი თეაკო, დისწული ვახტანგ თავართქილაძე, ძმისწულები სოფო, სალომე, ცოლისძმა თენგიზ მაისურაძე, მძახლები ნინო თავაძე, თეა გადაბაძე, ბიძაშვილები ავთო, მარინა ლეკიშვილები, დოდო მაისურაძე, მამიდაშვილები ეთერ ბოჭორიშვილი, ზურაბ, ჯულო მოწონელიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გივი ლეკიშვილი**

**პანაშვიდი 7, 8 I, 17 სთ. ბარნოვის 81ა. გამოსვენება 9 I, 14 სთ. ღვთისმშობლის ტაძრადმიყვანების ეკლესიიდან (სამედიცინო უნივერსიტეტის გვერდზეძ, ვაჟა-ფშაველას გამზ.**

---

**შპს „დიანას“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება**

**კარლო ლეკიშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ვლადიმერ კერესელიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება**

**კარლო ლეკიშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი ყოფილი გენერალური დირექტორი, გენერალური კონსტრუქტორი, საქართველოს სამხედრო-სამრეწველო საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი**

**კარლო (გივიძ ლეკიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებს.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქართველოში კიბერნეტიკის მეცნიერების ფუძემდებელი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დამაარსებელი, აკადემიკოსი**

**ვლადიმერ ვალერიანის ძე ჭავჭანიძე**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ახლობლებსა და საქართველოს მთელ სამეცნიერო საზოგადოებრიობას. პანაშვიდი 8, 9 I, 16 სთ. გამოსვენება 10 I, 14 სთ. მისამართი: თბილისი, საბურთალოს ქ. №40, ბინა 49.**

---

**დედა თამარ შელია, შვილი შოთიკო, რძალი სოფო, დები მაიკო, მზია, სიძეები აკაკი ფარულავა, ჯუმბერ კავთელაძე, ბიძა აბესალომ შელია, ბიცოლები თინა, გული, ქეთევანი, მაზლი გოგი ზაქარეიშვილი, გული, ლუიზა, მძახალი აკაკი გოგლაური, დისწულები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ლიანა იობაშვილი**

**პანაშვიდი 7, 8 I, 16 სთ. გამოსვენება 9 I, 14 სთ. მისამართი: ღოღობერიძის ქ. №6, II სადარბაზო.**

## ყველაფერი ყველაფერზე

### არაფერი არ უნდა გიკვირდეს



პლუტარქე ამ სიტყვებს ფილოსოფოს პითაგორას მიაწერს, ციცერონი კი ასე განმარტავს: „ეჭვგარეშეა, სწორედ ეს არის უმაღლესი და ღვთაებრივი სიბრძნე – ღრმად გაიგო და შეისწავლო ადამიანური ურთიერთობანი. როცა რამე მოხდება, არაფერი გაგიკვირდეს, და არაფერი ჩათვალო შეუძლებლად, მანამდე სანამ ეს მოხდება".

### რისხვა ხანმოკლე სიგიჟეა!

კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსის (66-8 წ.წ. ძვ.წძ ეს დასკვნა მომდევნო პერიოდის მწერლებმა უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნიეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს მოსწრებული გამოთქმა გვხვდება შექსპირთან („ტიმონ ათენელიძ და სტენდალთან („ტურისტის ჩანაწერები"ძ.

### უცნაურია, აბა რაა!

ჰიტლერი, რომელმაც ამდენი მილიონი ადამიანი ამოწყვიტა, ბერლინის საოპერო თეატრში პუჩინის „ტოსკას" წარმოდგენის დროს, როცა დიდი ტენორი ბენიამინო



ჯილი იწყებდა განთქმული არიის „ვარსკვლავები ციმციმებდნენ", შესრულებას, მღელვარებას ვერ იკავებდა და თვალებიდან ცრემლები სდიოდა...

წარმოიდგინეთ, მას გულს უთუთქავდა ლიტერატურული გმირის კავარადოსის ხვედრი, რომელიც ჯალათებმა ესოდენ დაუნდობლად გასწირეს!

### ერთ ქალაქში 2123 ხიდია

ევროპის რომელ ქალაქშია ყველაზე მეტი ხიდი? არა, ვენეციაში არა, თუმცა ბევრს სწორედ ასე ჰგონია.

ევროპაში ყველაზე მეტი ხიდი ჰამბურგშია – არც მეტი, არც ნაკლები 2123. მეორე ადგილზეა ბერლინი – 1662. შემდეგ მოდის ამსტერდამი – 1281, ვენეციაში კი „სულ" 398 ხიდია.

### ყველას თავისი მეთოდი ჰქონდა

**ქართველი იტყვის, ტვინში სისხლი მოაწვაო. ბევრი შემოქმედი რამეს რომ მოიფიქრებდა, სწორედ ამ სისხლის მოწოლას მიაწერდა. შილერი, მაგალითად, ფეხებს ყინულზე დებდა, პიტი, როცა თემთა პალატაში სიტყვებისთვის ემზადებოდა, ძალიან ბევრ პორტერს სვამდა.** გამოჩენილი კომპოზიტორი პაიზიელო ისე ვერ თხზავდა, თუ არ



დაწვებოდა და ბევრ საბანს არ დაიფარებდა. მილტონი და დეკარტი თავს სავარძელზე გადასწევდნენ ხოლმე. ლაიბნიცზე ამბობდნენ, რომ მისი გონებრივი მუშაობისთვის აუცილებელი იყო ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნა. როსინი მხოლოდ საწოლში წოლისას თხზავდა, რუსო კი თავის ნაწარმოებებს მოიფიქრებდა ხოლმე შუადღის კაშკაშა მზეზე, ისე, რომ ქუდს არ იხურავდა.

### გეომეტრიისკენ მიმავალი სამეფო გზა?

**რა არ დასძლია ეგვიპტის მეფემ პტოლემაიოს I-მა, რომელიც, გადმოცემით, ფილიპე II-ის უკანონო შვილი და ამდენად, ალექსანდრე მაკედონელის ძმა იყო. მრავალ ლაშქრობაში მაკედონელთა გამოჩენილი მხედართმთავარი, შემდეგ ეგვიპტის ტახტზე ავიდა, როგორც დიპლომატი ხომ პირდაპირ შეუდარებელი იყო.**

საკუთარი პოპულარობის ზრდის მიზნით, იგი მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას. როცა ალექსანდრიაში განთქმული მათემატიკოსი ევკლიდე დასახლდა, მეფე მასაც დიდი პატივისცემით ექცეოდა. უთხრა, რომ გეომეტრიის შესწავლა კი უნდა, მაგრამ ეს ძალიან ძნელი რამ აღმოჩნდა. „იქნებ, რაიმე საამისო უფრო იოლი გზა მასწავლო". ევკლიდემ ისე უპასუხა, მეფე სულაც არ დაუნდვია: „გეომეტრიისკენ მიმავალი სამეფო გზა არ არსებობს".

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

### 7 იანვარი

**31-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.**

**ხორციელად შობა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი**



ამოდის 07.28
ჩადის 16.45



ამოდის 04.03
ჩადის 13.25

### დაიბადნენ:

**1886 – ლადო კავსაძე,** გამოჩენილი მომღერალი. გარდაიცვალა 1953 წელს.

**1896 – ილო მოსაშვილი,** მწერალი. გარდაიცვალა 1954 წელს.

**1903 – შალვა აზმაიფარაშვილი,** კომპოზიტორი და დირიჟორი. გარდაიცვალა 1957 წელს.

**1916 – პაულ კერესი,** ესტონელი მოჭადრაკე. გარდაიცვალა 1975 წელს.

**1925 – ჯერალდ დარელი,** ინგლისელი ზოოლოგი და მწერალი. გარდაიცვალა 1955 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1920 – კოლჩაკი,** მეფის რუსეთის ადმირალი.

**1963 – ილია სიხარულიძე,** საბავშვო პოეტი.

**1989 – ხიროხიტო,** იაპონიის იმპერატორი.

### მოვლენები:

**1610 წელი** – იტალიელმა ასტრონომმა გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა იუპიტერის პირველი სამი თანამგზავრი: იო, ევროპა და განიმედი.

**1914 წელი** – პანამის არხში პირველმა ხომალდმა გაცურა.

**1920 წელი** – ადმირალი კოლჩაკი ბოლშევიკებმა დახვრიტეს ქ. ირკუტსკში.

**1953 წელი** – პრეზიდენტმა ტრუმენმა განაცხადა აშშ-ში წყალბადის ბომბის არსებობის შესახებ.

**1989 წელი** – პარიზში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო კონფერენციამ ქიმიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდა 149 ქვეყანა.

**მედიანიუსი**

## ინფორმაცია

### მიწისძვრა რაჭაში

გუშინ დილით, 07:25 საათზე რაჭაში 4-ბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა.

როგორც სეისმოლოგიური მონიტორინგის ცენტრში განაცხადეს, მიწისძვრის ეპიცენტრი ონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 7-10 კილომეტრის დაშორებით დაფიქსირდა.

მიწისძვრის სიმძლავრე რიხტერის შკალით 3,5-4 ბალი იყო. სუსტი სიმძლავრის გამო მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

### ტურისტები ზვავში მოყვნენ

გუდაურში შვიდი ტურისტი ზვავის ქვეშ მოყვა. ტელეკომპანია „იმედის" ინფორმაციით, ტურისტები აკრძალულ ზონაში სრიალებდნენ.

ზვავი 3 250 მეტრი სიმაღლიდან ჩამოწვა. შვიდიდან ექვსმა ტურისტმა დამოუკიდებლად შეძლო თავის დაღწევა, ერთი ტურისტი კი მაშველებმა გადაარჩინეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6929 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4383 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7340 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6084 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4799 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1080 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1201 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1327 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4801 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +1 – +4 |
| ქუთაისი. | +4 – +5 |
| ბათუმი. | +5 – +6 |
| ზუგდიდი. | +4 – +6 |
| თელავი. | +1 – +3 |

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 9 იანვარს


**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში" გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.


## ანეკდოტები

31 დეკემბერს ძალიან გვინდა, რომ ახალი წლიდან ახალი ცხოვრება დავიწყოთ.

1 იანვარს კი ახლის დაწყების კი არა, ძველის გაგრძელების თავიც არა გვაქვს...

* * *

არაფერი ისე არ გმატებს სიმხნევეს დილაობით, როგორც ერთი ჭიქა ყავა, ერთი ჭიქა კონიაკზე რომ დააყოლებ.



* * *

– გოგონი, ცხოველები გიყვართ?

– თქვენ რა, ცოლობას ხომ არ მთხოვთ?

* * *

– წვერს რომ გავიპარსავ, თავს ოცი წლით ახალგაზრდად ვგრძნობ, – ეუბნება ქმარი ცოლს.

– თუ ასეა, რატომ ღამით არ იპარსავ?

* * *

– ორჯერ დავქორწინდი და ბედმა ორივეჯერ მიმტყუნა – პირველი ცოლი გამექცა, მეორე – არა!

## კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.